ევროკავშირი საქართველოსთვის

დემოკრატიის ვირტუალური აკადემია

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ევროკავშირის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესის მედია გაშუქების მონიტორინგის ანგარიში

იანვარი, 2023

თბილისი, საქართველო

ეს პუბლიკაცია შექმნილია "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "დემოკრატიის ვირტუალური აკადემია" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

12-პუნქტიანი რეკომენდაციების პაკეტი

1. 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით გადაჭრას პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით;

2. უზრუნველყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გააძლიეროს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები; კიდევ უფრო გააუმჯობესოს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, აღმოფხვრას ყველა ხარვეზი, რომელიც ამ პროცესების დროს ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭომ/ვენეციის კომისიამ გამოავლინა;

3. მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც დაეფუძნება ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ საკონსულტაციო პროცესს; უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების მთელი ჯაჭვი იყოს სრულებით, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი, ასევე დაიცვას შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება;

   სახელდობრ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი და გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე გენერალური პროკურორის შემთხვევაში; გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები. ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით;

4. გააძლიეროს ანტი-კორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც თავს მოუყრის ყველა საკვანძო ანტი-კორუფციულ ფუნქციას; განსაკუთრებით კი, საგულდაგულოდ გადაჭრას მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები; აღჭურვოს ახლადდაარსებული სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტო იმ რესურსებით,

რომლებიც მათ მანდატს შეესაბამება და უზრუნველყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა;

5. „დეოლიგარქიზაციის“ პირობისადმი ერთგულება, რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით;

6. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საფრთხის დეტალურ შეფასებებს, კერძოდ, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების სანდო გამოცდილების უზრუნველყოფის გზით; სამართალდამცველი უწყებების ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა უნდა იყოს გარანტირებული;

7. უფრო ძლიერი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისათვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს, და ჩატარდეს მიუკერ--ძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების შემთხვევებზე;

8. სასწრაფოდ გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, მოძალადეების და ამ ძალადობის დამკვეთების მართლმსაჯულებისადმი უფრო შედეგიანად წარდგომის გზით;

9. გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ;

10. უზრუნველყოფილი იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე;

11. მიღებული იქნეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენებს თავიანთ გადაწყვეტილებებში;

12. უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭება დამოუკიდებელ პიროვნებას და რომ პროცესი წარიმართება გამჭვირვალედ; დაცული უნდა იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.

შესავალი

23 ივნისს ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა ევროკომისიის 17 ივნისის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ევროპის კავშირის კანდიდატის სტატუსის ნაცვლად **„ევროპული პერსპექტივა“ მიენიჭა**. ამავდროულად, ბრიუსელში შეთანხმდნენ, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღების პირობად 12-პუნქტიანი რეკომენდაციების პაკეტი შეეთავაზებინათ.

ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას მყისიერად მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების მტკიცე განაცხადი დადგენილი პირობების შესრულების შესახებ. ერთი მხრივ, მთავრობამ და, მეორე მხრივ, მმართველი პარტიის საპარლამენტო შემადგენლობამ ოფიციალურად განაცხადა 12 რეკომენდაციის შესრულებაზე მუშაობის დაწყების შესახებ.

კერძოდ, 1 ივლისს „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ევროკომისიის მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად გაწერილი 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა.

„მმართველი გუნდი უზრუნველყოფს ევროკავშირის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულებას სათანადო დროში და სათანადო ხარისხით“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ გამართულ ბრიფინგზე (იხილეთ, ევროკომისიის მიერ გაცემული თითოეული რეკომენდაციის შესრულების ქართული ოცნებისეული ხედვა).

12-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა ქვეყანაში პოლიტიკური გარემოს დამშვიდება, ე.წ. „დეპოლარიზაციაა“. საზოგადოების ინფორმირების პარალელურად, განსაკუთრებით კი საჯარო სივრცისა და პოლიტიკური პროცესის დეპოლარიზაციის მოთხოვნის შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში მესამე სექტორისა და მედიის როლს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში, ავღწეროთ და შევაფასოთ რეკომენდაციების შესრულების პროცესის მედია გაშუქება, დისკუსიები და ანალიტიკური კონტენტი, რომელსაც ქართული მედია აწვდის მოსახლეობას.

ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეასთან“ თანამშრომლობით, ორგანიზაცია „დემოკრატიის ვირტუალური აკადემიის“ მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგი მიზნად ისახავდა შეესწავლა:

- ✓ **თუ რა სიხშირითა და ტონით (პოზიტიური/ნეგატიური/ნეიტრალური) აშუქებდა სატელევიზიო და ონლაინმედია 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესს;**
- ✓ **გაშუქების ტონის მიხედვით, შეინიშნებოდა თუ არა სატელევიზიო და ონლაინ მედიასაშუალებების მხრიდან მიკერძოება რომელიმე საკითხისადმი, ან - პოზიციისადმი;**
- ✓ **რამდენად ექცეოდა გეგმაზე მუშაობის პროცესი მედიის ყურადღების ცენტრში და რა ფორმით ხდებოდა ინფორმაციის საზოგადოებამდე მიწოდება;**
- ✓ **დაცული იყო თუ არა ბალანსი რეკომენდაციების სხვა და სხვა პუნქტებს შორის ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანის პროცესში, თუ მედია სიუჟეტებსა და ანალიტიკურ მასალებს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მუხლებზე ამზადებდა;**
- ✓ **დაცული იყო თუ არა ბალანსი სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების პოზიციების საზოგადოებამდე მიტანის პროცესში და სხვა.**

ამ საკითხების შესწავლის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია - დემოკრატიის ვირტუალური აკადემია, პროექტის - „**ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ანტიკორუფციული საქმიანობის სამოქალაქო მონიტორინგი ევროკავშირის 12 რეკომენდაციის ფარგლებში“,** განახორციელა რამდენიმე ტელევიზიის და საინფორმაციო სააგენტოს მედიამონიტორინგი.

კვლევის მეთოდოლოგია:

მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდებოდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის კომპონენტების გათვალისწინებით.

რაოდენობრივი კვლევისას ყურადღება გამახვილდა, თუ რა სიხშირით და როგორი ტონით (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი) შუქდებოდა შერჩეულ მედიასაშუალებებში 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესი.

თვისებრივი დაკვირვებისას კი, ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ რამდენად იყო დაცული შერჩეული მედიასაშუალების პოლიტიკა საკითხის გაშუქებისას და შეინიშნებოდა თუ არა ტენდენციურობა რომელიმე საკითხისადმი ან პოზიციისადმი. აშუქებდნენ თუ არა 12–ივე რეკომენდაციის მუშაობის პროცესს თანაბრად და იყო თუ არა დაუბალანსებელი გაშუქების შემთხვევები.

მედიამონიტორინგი განხორციელდა
2022 წლის 1 ოქტომბრიდან – 30 დეკემბრამდე პერიოდში.

მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებები:

პროექტის ფარგლებში განხორციელდა 4 ტელეარხის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და პოლიტიკური თოქშოუების, ასევე, სამი საინფორმაციო სააგენტოს მონიტორინგი.

✓ ტელეკომპანია პირველი:

- მთავარი საინფორმაციო გამოშვება „პირველები“
- გადაცემა „დღის ამბები“
- გადაცემა „რეაქცია“
- გადაცემა „პოლიტიკური ამბები“
- გადაცემა „საჯარო პოლიტიკა“
- გადაცემა „პირველი ხაზი“

✓ ტელეკომპანია იმედი:

- მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“
- გადაცემა „იმედი LIVE”
- გადაცემა „იმედის კვირა“

✓ საზოგადოებრივი მაუწყებელი:

- მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“
- გადაცემა „დღის თემა“
- გადაცემა „აქტუალური შაბათი“
- გადაცემა „კვირის მოამბე“
- გადაცემა „თავისუფალი ხედვა“

✓ ტელეკომპანია პალიტრანიუსი:

- მთავარი საინფორმაციო გამოშვება „პალიტრანიუსი“
- გადაცემა „რეზიუმე“
- გადაცემა „360 გრადუსი“
- გადაცემა „თავისუფალი სტუდია“
- გადაცემა „ პოლიტიკური სივრცე“

✓ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“

- interpressnews.ge

✓ „ტაბულა“

- tabula.ge

✓ „პირველი“

- pia.ge

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

- ✓ მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ 12 რეკომენდაციიდან ყველაზე რეზონანსული ხასიათის ქართული მედიასაშულებებისათვის „დეოლიგარქიზაციის“ საკითხი და „დეოლიგარქიზაციის“ კანონზე მუშაობის გაშუქება აღმოჩნდა. აღნიშნული საკითხი ყველაზე ხშირად და განსხვავებული ინტერპრეტაციით გააშუქა სხვადასხვა მედიასაშუალებამ. საკითხისადმი მედიის ინტერესს ისიც ამძაფრებდა, რომ შემოთავაზებული კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ინტერესის ობიექტი სხვა პირებთან ერთად მედიასაშუალებების მფლობელებიც აღმოჩნდნენ.

- ✓ სამაუწყებლო მედია მკვეთრად პოლარიზებულია. მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლების და ხელისუფლების პოზიციის სასარგებლოდ არის მიკერძოებული, მეორე ნაწილი კი - ოპოზიციის; ტელეკომპანია „იმედმა“ ფართოდ გააშუქა ევროკავშირის რეკომენდაციების თემა. თუმცა, თავად საკითხი ტელემაყურებლისთვის მრავალმხრივი და დაბალანსებული ფორმით არ მიუწოდებია. არხი ტენდენციური იყო ხელისუფლების მიმართ და, შესაბამისად, საკითხი ხელისუფლების პოზიციის მხარდამჭერ ტონში შუქდებოდა. ოპოზიცია კი ნახსენები იყო მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში და ევროინტეგრაციის პროცესში ქვეყნის ხელისშემშლელ აქტორად. წამყვანები, ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ ცინიკურ დამოკიდებულას ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორის, ევროპარლამენტარების და ელჩების მიმართ. არხი არ იწვევს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს გადაცემებში (მხოლოდ პოლიტიკურ პარტია „გირჩის“ და პარტია „მოქალაქეებს“.)

- ✓ „ტელეკომპანია პირველმა“ ევროკავშირის 12 რეკომენდაციის თემა გააშუქა დაბალი ინტენსივობით და ცალმხრივად, სამართლიანობა მოითხოვს დავაზუსტოთ რომ ხელისუფლების, მმართველი პარტიის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ ტელეკომპანიაში სტუმრობაზე. არხს, კონკრეტულად, თოქშოუებში ჰქონდა მხოლოდ ოპოზიციის მოსაზრებები, ხელისუფლების პოზიციას კი მაყურებელს საინფორმაციო გამოშვებებში სთავაზობდა, თუმცა ნეგატიურ კონტექსტში. „ტელეკომპანია პირველი“ ხელისუფლების მიმართ მკვეთრად კრიტიკულია და ხელისუფლების ევროინტეგრაციის პოლიტიკა შეფასებული იყო, როგორც უარყოფითი და ქვეყნის წინსვლაში ხელისშემშლელი.

- ✓ ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“ 12–პუნქტიანი გეგმის გაშუქებისას უფრო დაბალანსებული და ნეიტრალური ტონით გამოირჩეოდა. აშუქებდა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის, არასამთავრობო

სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებებს. თუმცა, ნიუსების უმრავ-ლესობა ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომადგენელთა ზედაპირ-ული განცხადებები იყო. 12 რეკომენდაციის საკითხი, პოლიტიკურ „თოქშოუებში“ რამდენჯერმე იყო გადაცემის მთავარი თემა და ეს გადაცემები იყო შინაარსობრივად დაბალანსებული. საკითხების გაშუქ-ებისას არხზე არ შეიმჩნეოდა მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ. გადაცემებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტ-იკური გუნდის წარმომადგენლები და აზრთა მრავალფეროვნება მეტ–ნაკლებად იყო დაცული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირად გადაცემის ბოლო სტუმარი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო. არხზე დებატ-ები არ არის.

- ✓ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმო კან-დიდატის სტატუსის მიღებას და ევროკავშირის რეკომენდაციების შეს-რულების პროცესს. მაუწყებელს შედარებით ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ, ნეიტრალურად გაშუქების მცდელობები ჰქონდა, თუმცა, ხელი-სუფლების პოზიციის მიმართ ტენდენციურობით და ლოიალური განწყობებით გამოირჩეოდა. ასევე, უფრო ხშირად უთმობდა დროს ხელისუფლების წარმომადგენელების პოზიციას, როგორც მთავარ საინ-ფორმაციო გამოშვებაში, ისე პოლიტიკურ თოქ–შოუებში. არხზე ტენ-დენციის ხასიათი აქვს სიუჟეტების დასრულებას მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ ლიდერების შეფასებებით.

- ✓ ონლაინმედიაში ნაკლებად იგრძნობოდა მკვეთრი პოლიტიკური პოლა-რიზაცია, სატელევიზიო მედიასთან შედარებით. თუმცა, შერჩეული სა-მი სააგენტოდან ერთი – pia.ge გამოირჩეოდა ხელისუფლების მიმართ ლოიალური განწყობით, დადებითი გაშუქების ტონით, ხოლო tabula.ge ნაკლებ ინტერესს იჩენდა ზოგადად, პროცესის გასაშუქებლად და უფრო მეტად, გამოირჩეოდა გაშუქების ნეგატიური ტონით. რაც შეეხება interpressnews.ge-ს – აშუქებდა ყველა მხარის თითქმის ყველა ნიუსს. გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალური, თუმცა ზედაპირული იყო;

- ✓ მონიტორინგის დროს შერჩეული ონლაინგამოცემები მონიტორინგის საკითხს (12 რეკომენდაციაზე მუშობის პროცესს) აქტიურად აშუქებ-დნენ („ტაბულას“ გამოკლებით).

- ✓ ონლაინმედიის ყველაზე დიდ გამოწვევად 12 რეკომენდაციაზე მუშობ-ის პროცესის ზედაპირული გაშუქება გამოიკვეთა; მონიტორინგისთვის შერჩეული საინფორმაციო სააგენტოები ვერ ახერხებდნენ საკითხების სიღრმისეულად და მრავალმხრივად გაშუქებას.

ტელევიზიების მონიტორინგი:

ტელეკომპანია „იმედი“

ტელეკომპანია „იმედმა“ მონიტორინგისთვის შერჩეულ ტელევიზიებს შორის ყველაზე დიდი საეთერო დრო დაუთმო ევროკავშირის რეკომენდაციებს და ევროპულ პესპექტივას, თუმცა საკითხს პოზიტიურად მხოლოდ ხელისუფლების პოზიციის სასარგებლოდ აშუქებდა. არხი მმართველი გუნდისა და ხელისუფლების მიმართ მკვეთრად გამოხატულ სიმპათიას ამჟღავნდებდა, ხოლო, ნეგატიური კონტექსტი იყო გამოყენებული ოპოზიციასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში გაშუქების ტონი იყო ირონიული და შეიცავდა დისკრედიტაციის ელემენტებს. ჟურნალისტთა ტექსტებში ხშირ შემთხვევებში გამოყენებული იყო ცინიკური გამონათქვამები ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორისა და რამდენიმე ევროპარლამენტარის წარმომადგენელთა გაშუქებისას.

მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში **„ქრონიკა“** ევროკავშირის 12 რეკომენდაციიდან ყველაზე მეტი დრო **„დეოლიგარქიზაციის“ კანონს** დაეთმო. სრულად მის გაშუქებას 20 სიუჟეტი დაეთმო, შესაბამისი 112 წუთით.

20 სიუჟეტი = 112 წუთი

სიუჟეტების სათაურები და **ნარატივი**:

- ✓ „ოპოზიცია დეოლიგარქიზაციის კანონის წინააღმდეგ“,
- ✓ „დეოლიგარქიზაცია და ოპოზიციის მახე“,
- ✓ „დეოლიქარგიზაცია და ოპოზიციის ჩიხი“,
- ✓ „რადიკალები ოლიგარქების დასაცავად – რა დაწერა ბეჟაშვილმა ალტერნატიულ დეოლიგარქიზაციის კანონში?”,
- ✓ „ოპოზიციამ საფრთხე იგრძნო. დეოლიგარქიზაციის მოთხოვნა ჩაცხრა”, ევროპული რეკომენდაციების შესრულებაზე კი, ისევ მმართველი გუნდი ზრუნავს. ნაციონალური მოძრაობა საკუთარ ვერსიას წერს, დანარჩენები ვერ თანხმდებიან...“,
- ✓ „რადიკალური ოპოზიცია გვიან მიხვდა, რომ კანონი მათთვის არის საფრთხე, ამიტომ აღარ მოსწონთ უკრაინული კანონის ანალოგი მოდელი, ისევე როგორც არ მოსწონს არც ამერიკის ელჩს...“,
- ✓ “ოპოზიცია, რომელიც დეოლიგარქიზაციის კანონპროექტს დაჟინებით მოითხოვდა, თავად აღმოჩნდა ჩიხში”.
- ✓ “ეს არის ის შემთხვევა, როდესაც უკრაინული არ ნიშნავს მათთვის მისაღებს, რადგან ეს მოდელი მათთვისვე ქმნის საფრთხეს და, იმ ფინანსებისთვის, რომლითაც ოპოზიციის დიდი ნაწილი მარაგდება.

ოლიგარქები იქ აღმოჩნდნენ, სადაც არ ელოდნენ, და, შესაბამისად, ოპოზიციის განწყობა წინასწარ არის ცნობილი. მათთვის ქართული ჯარისთვის მოპარული ფულით გამდიდრებული კეზერაშვილის ფულზე უარის თქმა ადვილი არ არის“.

- ✓ „ოპოზიციის რადიკალურ ჯგუფს სურს ივანიშვილის დაზიანება, მაგრამ როგორც კი მიხვდნენ, რომ კანონი კეზერაშვილს და ოპოზიციაში სხვებს შეეხებოდა, აღარ სურთ კანონის მიღება“,
- ✓ „ოპოზიცია საკუთარ ხაფანგშია... კეზერაშვილის ფინანსებზე დამოკიდებულები.“

თითქმის ყველა სიუჟეტის ნარატივი ოპოზიციის საწინააღმდეგო და ხელისუფლების პოზიციის სასარგებლო იყო.

ევროკავშირის რიგით მე–12 რეკომენდაციას – **სახალხო დამცველის არჩევის წესს,** ტელეკომპანია “იმედმა” ევროკავშირის ამ კრიტერიუმს 16 სიუჟეტი დაუთმო, ანუ 78 წუთი სრულად.

16 სიუჟეტი = 78 წუთი

> ძირითადი **ნარატივი**: „საერთო კანდიდატზე კონსესუსის მიღწევა რთული იქნება. ოპოზიციას სურს, არ შესრულდეს ევროკავშირის მე–12 რეკომენდაცია.“... “გადაჰყვება თუ არა რადიკალთა ინტერესს სახალხო დამცველის კანდიდატის შერჩევა.“ “უპრეცედენტოდ გამჭვირვალე პროცესი იყო და ხელისუფლებამ ჯოკერი ოპოზიციას მისცა – არ დაუყენებია საკუთარი კანდიდატურა, თუმცა, ოპოზიცია ულტიმატუმს უყენებს ხელისუფლებას და მხოლოდ მათ მიერ დასახელებული 3 კანდიდატიდან არჩევას სთავაზობს, რასაც ხელისუფლება არ თანხმდება და ამბობს, რომ ულტიმატუმებს არ შეასრულებს.“ „ოპოზიციის ულტიმატუმი ომბუდსმენის არჩევის საკითხზე - მმართველმა პარტიამ ოპოზიციას შესთავაზა არჩევანი 5 კანდიდატს შორის გააკეთოს, პასუხი – ულტიმატუმია. კონსულტაციების ბოლო რაუნდი უშედეგო აღმოჩნდა/ ოცნება ოპონენტებისგან ულტიმატუმის შერბილებას ელის და საკითხს საგაზაფხულო სესიაზე განიხილავენ.“

ევროკავშირის მე–2 რეკომენდაციას – **საარჩევნო რეფორმას და საპარლამენტო ზედამხედველობას** ტელეკომპანია „იმედმა“ 11 სიუჟეტი მიუძღვნა, შესაბამისად, საეთერო დროის 47 წუთი.

11 სიუჟეტი = 47 წუთი

ნარატივი: „რადიკალურმა ოპოზიციამ არც ევროპული რეკომენ-დაციის შესაბამისად მომზადებულ ცვლილებებს – „საარჩევნო რე-ფორმას“ დაუჭირა მხარი.“

ნარატივი: „რეფორმა სრულად ასახავს და ითვალისწინებს ეუთო–ოდირის, ვენეციის კომისიის და ოპოზიციის შენიშვნებს და რეკომენდაციებს, მაგრამ, რადიკალები მხარს მაინც არ უჭერენ“.

ევროკავშირის მე-3 რეკომენდაციაში – **მართლმსაჯულების რეფორმა,** შე-დის სასამართლო სისტემის რეფორმა, გენერალური პროკურორის არჩევის წესი, მოსამართლეების და იუსტიციის უზენაესი საბჭოს წევრების გამ-ჭვირვალედ დანიშვნა. ტელეკომპანია „იმედმა“ აღნიშნული რეკომენდაცი-ის გაშუქებას სულ 9 სიუჟეტი დაუთმო, რამაც 45 წუთს შეადგინა.

9 სიუჟეტი = 45 წუთი

ნარატივი:

“ხელისუფლების მიზანია, მართლმსაჯულების სისტემის გაუმ-ჯობესება. ოპოზიცია გაემიჯნა სამუშაო პროცესს და ალტერნატიულ ვერსიაზე მუშაობს.” „როგორ მოხვდა გენერალური პროკურორის არჩევის წესის შესახებ კანონის მიღების ვალდებულება 12-პუნქტიან ევროპულ რეკომენდაციაში? - მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ მმართველი გუნდიც და ოპოზიციაც შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული ცვლილება მართლმსაჯულებას შეაფერხებდა, კან-დიდატის სტატუსისკენ სავალ გზაზე, ეს საკითხი ქართველ პოლიტ-იკოსებს მაინც წინ დახვდათ. მაშინ ყველა კომპრომისზე აკეთებდა აქცენტს და შარლ მიშელის დოკუმენტშიც ჩაიწერა... მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც აკრიტიკებენ გენე-რალური პროკურორის არჩევის წესს და ამბობენ, რომ არ არის კარგი მოდელი, მაინც იღებენ კანონს, რადგან წერია ევროკავშირის რეკო-მენდაციებში და ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია ევროკავ-შირში გაწევრიანება. ოპოზიციას კი სურს, რეკომენდაციები არ შესრულდეს და ქვეყანამ არ მიღოს კანდიდატის სტატუსი“.

„ევროპისთვის უცხო ევროპული რეკომენდაცია...“

ნარატივი:

„საკონსტიტუციო ცვლილებებმა მმართველი პარტიის უკმაყოფილების და ოპოზიციის ნაწილის წინააღმდეგობის ფონზე პირველი მოსმენა მაინც გაიარა. ევროპული რეკომენდაციების ეს ნაწილი თავად ევროპაშიც უცხოა, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ პარტიული პოზიციის მიუხედავად, მისი მხარდაჭერა გადაწყვიტა... ხელისუფლება ამბობს, რომ ყველანაირი სამართლებრივი პრინციპია დარღვეული ამ კანონში, არ არის კარგი, მაგრამ ევროპული ინტეგრაცია არის მიზეზი, რის გამოც ითვალისწინებენ ამ რეკომენდაციას და იღებენ საკონსტიტუციო ცვლილებას...“, „საკანონმდებლო ორგანო ევროპული რეკომენდაციების შესაბამისად, კიდევ ერთი ცვლილების კენჭისყრისათვის ემზადება. პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციას აქტიურობისაკენ მოუწოდებს, საქმე გენერალური პროკურორის არჩევის წესს ეხება, რასაც საკონსტიტუციო ცვლილებები სჭირდება, ამას კი „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა არ ეყოფა. გენერალური პროკურორის შერჩევის წესში ცვლილება მმართველი პარტიისათვის მიუღებელია, თუმცა პოლიტიკური კომპრომისი ევროპული გზის სასარგებლოდ უკვე არსებობს. რადიკალური ოპოზიციისათვის კი ახლა აღარც ევროპის გზავნილებია სახელმძღვანელო“...

სასამართლო რეფორმაზე: „მმართველმა პარტიამ სასამართლო რეფორმის შესახებ სტრატეგია გაასაჯაროვა - სისტემის გასაძლიერებლად „ქართულმა ოცნებამ“ რამდენიმე აუცილებლობა დაასახელა. მათ შორის: გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაძლიერება... პროცესს გაემიჯნა რადიკალური ოპოზიცია, ალტერნატიული კანონპროექტი აქვს ინიცირებული პარლამენტის სამუშო ჯგუფებს გამიჯნულ სამეულს: „ლელოს“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „სტრატეგია აღმაშენებელს“...

ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას - ევროკავშირის რიგით მე–4 რეკომენდაციას, ტელეკომპანია „იმედმა“ 10 სიუჟეტი მიუძღვნა, საეთერო დროის 37 წუთი.

10 სიუჟეტი = 37 წუთი

ნარატივი: „ოპოზიციის ნაწილი ევრორეკომენდაციების შესრულებას ბოიკოტს უცხადებს. მათზე მომუშავე მმართველ პარტიას კი, საბოტაჟში ადანაშაულებს. ისევ დავის საგანია ახალი უწყება, რომელიც კორუფციის მაკონტროლებლის ფუნქციით იქნება დატვირთული"...

სიუჟეტის ავტორის ტექსტი: „ევროპული დავალების შესრულების ოფიციალურ პროცესს გამიჯნულებს, ჰყოფნით პოლიტიკური გამბედაობა, რომ ხელისუფლება 12 რეკომენდაციის საბოტაჟში დაადანაშაულონ..."

„ხელისუფლება მუშაობს ევროკავშირის მე–4 რეკომენდაციაზე და მიიღო ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის გადაწყვეტილება, მაგრამ რადიკალური ოპოზიცია ფიქრობს რომ ეს ცვლილება ბუტაფორიაა. ოპოზიციას არ მოსწონს ხელისუფლების არცერთი კანონი... „ლელო" დარწმუნებულია, რომ მათი ალტერნატიული ვერსიაა ის, რასაც ითხოვს ევროპა, მაგრამ საპირისპიროს ფიქრობს მმართველი პარტია. ხელისუფლება ამბობს, რომ მათი პროექტი პასუხობს ევროკავშირის რეკომენდაციებს და ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა... რასაც ოპოზიცია ითხოვს ანტიკონსტიტუციურია და ხელის შეშლისკენ არის მიმართული"...

ევროპული რეკომენდაციების პირველ პუნქტს „იმედმა", კონკრეტულად, **პოლარიზაციის შემცირების** საკითხს მხოლოდ 2 სიუჟეტი მიუძღვნა (სრულად 11 წუთი), თუმცა სხვადასხვა თემების კონტექსტში ხშირად იყო ნახსენები პოლარიზაცია და დეპოლარიზაცია.

2 სიუჟეტი = 11 წუთი

ნარატივი: „პოლარიზაციის მთავარი წყარო ოპოზიციაა, ისინი ცდილობენ პროცესს შეუშალონ ხელი და ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. რადიკალების მიზანი დესტრუქცია და დესტაბილიზაციაა..."

რეკომენდაციების მე–11 პუნქტს – ევროპული სასამართლოების განაჩენების გათვალისწინება „იმედმა" ერთი სიუჟეტი მიუძღვნა სათაურით – „უარი ევროპული რეკომენდაციების მე–11 მუხლს".

ნარატივი: „ფსევდო ევროპელები პარლამეტში. პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც დასავლური გზავნილებით თავს ხშირად იწონებს, ბრიუსელის რეკომენდაციების შესრულების მომხრეთა შორის არ არის. რეფორმების ჯგუფმა მხარი არ დაუჭირა პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომლის თანხმად საქართველომ ევროპული სასამართლოების განაჩენები უნდა გაითვალისწინოს“.

ევროკავშირში გაწევრიანების, კანდიდატის სტატუსის მიღების საკითხს და ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულების მნიშვნელობას ტელეკომპანია „იმედმა“ საკმაოდ დიდი დრო დაუთმო. კერძოდ, ამ თემას კონკრეტულ რეკომენდაციებზე გადაცემების გარდა, საკმაოდ ხანგრძლივი დრო დაუთმო - 440 წუთი (7,20 საათი), რამაც 65 სიუჟეტი გააერთიანა. კერძოდ, საინფორმაციო გამოშვებებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საპარლამენტო დელეგაციების სხვადასხვა ქვეყნებში ვიზიტები, საქართველოს შესახებ რეზოლუციები, ანგარიშები და ა.შ გაშუქების ტონი ხელისუფლების მიმართ პოზიტიური იყო, ხოლო ნეგატიურ ტონში გადაიცემოდა ცნობები ოპოზიციის, ევროპარლამენტარების, საქართველოში ამერიკისა და ევროკავშირის ელჩების შესახებ, მაგალითად,

65 სიუჟეტი = 440 წუთი

- ხელისუფლების მიზანი ევროპული დავალების შესრულებაა, რადიკალების კი, ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედება. რადიკალებს არ სურთ ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი.
- <u>რადიკალები ქვეყნის წინააღმდეგ;</u>
- რადიკალები ევროპული რეკომენდაციების წინააღმდეგ;
- რადიკალების ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა და მიზნები;
- ევროპარლამენტარების სადავო შესწორებები/ცვლილებები;
- <u>რადიკალების უარი ევროპულ რეკომენდაციებს</u> – **ნარატივი:** პარლამენტი 12 რეკომენდაციის შესრულებაზე მუშობს. ოპოზიცია ყველაფერზე უარს ამბობს. ისტორიულ პროცესში ოპოზიცია ხელისუფლებას მარტო ტოვებს.
- <u>ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ</u> – ფოტიგა, კრამერი და გონჩარენკო „ნაცებთან“ ერთად საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციებს გეგმავენ, მათი გზავნილები ამის დასტურია.
- **ისტორიული პარადოქსი** – ევროპარლამენტში საქართველოს შესახებ რეზოლუციას მხარი თავად რეზოლუციის ავტორმა, სვენ მიქსერმა არ დაუჭირა. **ნარატივი:** ევროპისგან დაცლილი ევროპარლამენტი,

რამდენიმე ევროპარლამენტარის განცხადება სხვა ქვეყნის მართლმსაჯულებაში ჩარევას ნიშნავს.

- **რა ფასი აქვს რეზოლუციას, რომელსაც ავტორიც ემიჯნება – ნარატივი:** საბოტაჟი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.
- სადავო ჩანაწერი PACE-ს რეზოლუციაში.
- ევროპული რეკომენდაციების შესრულება,

ნარატივი: „რადიკალები იმ რეკომენდაციებს აფერხებენ, რომლის შესრულებაც კანდიდატის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობაა. რადიკალური პოზიციების და ულტიმატუმების წყალობ-ით, საქართველო 2023 წელს, ჯერ კიდევ დაუსრულებელი რეკო-მენდაციებით ხვდება... ევროპული რეკომენდაციების შესრულებას ვერ ახერხებს. რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია, თუმცა, ნაწილი ოპოზიციის გამო ვერ სრულდება... ხელისუფლება ოპოზიციის ულტიმატუმის და ანტიდემოკრატიული გზის დას-რულებას ელოდება.“

ამ ფონზე კი პრემიერის, მინისტრების თუ საპარლამენტო დელეგაციების სხვადასხვა სამიტებზე და ქვეყნებში ვიზიტების გაშუქებისას, ხელისუფ-ლების მიმართ მკვეთრად გამოხატული პოზიტიური ტონი დომინირებს. მაგალითად, პრემიერ–მინისტრი პრაღის სამიტზე.

სიუჟეტების ზოგადი ნარატივი: ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს 12 რეკომენდაციის შესასრულებლად და კანდიდატის სტატუსის მისაღებად. უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს ევროკომისრის, ოლივერ ვარჰეის და სხვადასხვა ქვეყნების: გერმანიის, უნგრეთის, ჩეხეთის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის და ა.შ პირველი პირების მხრიდან.

მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ გარდა, რომელიც ყოველ დღე გადის იმედის ეთერში, შაბათის მთავარი საინფორმაციო გამოშვებაა „შაბათის ქრონიკა“, სადაც ინფორმაციებთან და სიუჟეტებთან ერთად, არის ინტერვიუებიც და გადაცემაში მონაწილეობას იღებენ სტუმრები. „შაბათის ქრონიკამ“ რამდენიმე სიუჟეტი მიუძღვნა სახალხო დამცველის კანდი-

დატებს, „დეოლიგარქიზაციის“ კანონს და ზოგადად, 12–ივე რეკომენ-დაციის შესრულებას. სტუმრები - ხელისუფლების წარმომადგენლები.

ნარატივი ამ შემთხვევაშიც უცვლელია, ხელისუფლება მუშაობს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ოპოზიცია კი აზიანებს პროცესს.

რაც შეეხება პოლიტიკურ თოქშოუებს და გადაცემებს, ტელეკომპანია „იმედს“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების გარდა, ერთი პოლიტიკური თოქშოუ „იმედი LIVE“ და კვირის შემაჯამებელი გადაცემა „იმედის კვირა“ აქვს.

„იმედი LIVE”-ის გადაცემების მონიტორინგმა აჩვენა, რომ წამყვანები, ხელისუფლების პიარკამპანიას ეწეოდნენ და, ამის საპირისპიროდ, ოპოზი-ციის მკვეთრად გამოხატულ აგრესიულ ანტიპიარს. წამყვანების მიერ გა-კეთებული შეფასებები თუ კომენტარები, გადაცემის მონოლოგში ეფუძ-ნებოდა არა ანალიზს, არამედ - სარკაზმს, ცინიზმსა და შეურაცხყოფას. ძირითადად, მათი ტექსტების „დამადასტურებელი წყარო“ სხვადასხვა პოლიტიკოსების მიერ, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული „პოსტები“ იყო და, შესაბამისად, ოპოზიციის და ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ადამიანების დისკრედიტაციისკენ, დაცინვისკენ იყო მიმარ-თული. მაგალითისთვის, 2022 წლის 16 ნოემბრის გადაცემის მონოლოგი: „ოპოზიციისთვის ევროკომისარი რუსეთის აგენტია, მელიას ზურგში დანა ჩაარტყეს – ტატამზე ხაბეიშვილი გამოჩნდა, გლადიატორების ბრძოლა დაანონსებულია. ნიკანორ მელიას გულშემატკივრებო მძიმე დღეები დაგიდგათ – ქართველი ჟირინოვსკი (ლევან ხაბეიშვილი) თქვენს ოფისშია. მელია 24 საათის წასულიც არ იყო ქვეყნიდან, რომ ხაბეიშვილი პარტიაში მიიჭრა და თავმჯდომარის პოსტზე თავი წარადგინა. ლოზუნგი ასეთია: „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დავუბრუნოთ იმ ხალხს, ვისაც ეკუთ-ვნისო, ანუ, კეთილმა ხაბეიშვილმა ბოროტი მელიას კლანჭებიდან უნდა იხსნას უმანკო პარტია და კეზერაშვილს ჩაბაროს... შემდეგი ამბავი ასე უნდა იწყებოდეს, რომ იულიუს კეისრის ღალატიდან გაივლის 2000 წელზე მეტი და ბრიუსელში მყოფი პოლიტიკური განაჩენის მომლოდინე მელია გაიხსენებს როდის ჩაარტყეს მას პირველად დანა ზურგში. ფრაზა – შენც ბრუტუს?! ამ დროიდან იცვლება – შენც ხაბე?!... ფანჩატურის რესტავრაციამ

აქტუალობა დაკარგა და არც ტრიოს (ჯაფარიძე–ხოშტარია–ვაშაძე) შემ-ზარავმა ანონსმა მოახდინა დიდი ეფექტი – აი, კანდიდატის სტატუსი არ იქნებაო, სიხარულით რომ ცქმუტავდნენ ჯაფარიძე და ვაშაძე. მეტიც, ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქში უკვე მათ შემდეგ ჩასულ ნიკა მელიას, ევროპელი პოლიტიკოსები თურმე საყვედურით დახვდნენ – რატომ ამბობს ქართული ოპოზიცია, რომ ქვეყანას არ აქვს შანსი კანდიდატის სტატუსი მიიღოს. ჩვენ საპირისპიროს ვცდილობთ და თუ შეიძლება, გადაეცით, ნუ იტყუებიანო!... ევროკომისრის ვიზიტის შემდეგ, ოპოზიცია საგრძნობლად დამძიმდა. ოლივერ ვარჰეიმ, რომელმაც პოზიტიურად შეაფასა 12 პუნქტზე მუშაობა, ისტერიკაში ჩააგდო ზოგიერთი რადიკალი და შეთქმულების თეორიები განავითარა. სალომე სამადაშვილმა გამოაცხადა, რომ ვარჰეი უნგრეთის პრემიერის პარტიის წარმომადგენელია და შესაბამისად, ის პუტინის მოკავშირეების მოკავშირეაო და, აქ, შესაბამისად „ქართული ოცნება“ ვერავის მოატყუებსო. ზურაბ ჯაფარიძემ კი, ევროკომისარს საქმეში ჩაუხედავი ეძახა...“ – წამყვანების მონოლოგი. | 16.11.2022

რაც შეეხება გადაცემის სტუმრებს, ეთერში ყოველთვის იწვევდნენ მმარ-თველი პარტიის წევრებს და ხელისუფლებასთან აფილირებულ ექსპერ-ტებს, ასევე მმართველი ძალის მიმართ პოზიტიურად განწყობილ კულ-ტურის/ხელოვნების და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლებს. „იმედი Live“ კვირაში 3–ჯერ გადის ეთერში და სამი თვის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ იყო გადაცემის სტუმარი „გირჩის“ წევრი ვახტანგ მეგრელიშვილი და ერთხელ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი - ლევან იოსელიანი. სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგნლები არ ყოფილან. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთან, კანდიდატის სტატუს-ის და რეკომენდაციების შესრულებაზე მუშობის გარდა, წამყვანები და სტუმრები, ძირითადად, ნაციონალურ მოძრაობაზე და ოპოზიციაში მიმ-დინარე პროცესებზე საუბრობდნენ, ნეგატიურ კონტექსტში.

გადაცემაში ხშირად იყვნენ მაღალი რანგის რესპოდენტები: მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარე, ვიცე–სპიკერები და დეპუტატები.

> ყველა მათგანის **ნარატივი** გახლდათ ერთი: ოპოზიციას სურს ქვეყან-ამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და ყველაფერს აკეთებენ ამის-ათვის, აზიანებენ ქვეყნის შიგნით და გარეთ ხელისუფლების იმიჯს და ცდილობენ, პროცესის ჩაგდებას. ხელისუფლება კი ყველაფერს აკეთებს 12 რეკომენდაციის შესასრულებლად.

გადაცემის თემებიც ამ ნარატივის მატარებელი იყო:

- **ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივი გეგმა**; 30.10.2022
- **რადიკალების დესტრუქციული გეგმა;**
- **დეოლიგარქიზაციის კანონი, ოპოზიციამ მხარი ოლიგარქიას დაუჭირა – ინტერვიუ ირაკლი კობახიძესთან.** 3.11.2022

გადაცემა „**იმედის კვირამ**“ რამდენიმე სპეცრეპორტაჟი მიუძღვნა ევროკავშირის 12 რეკომენდაციას და, ზოგადად, კანდიდატის სტატუსის მიღების საკითხს.

- **დეოლიგარქიზაციის აბსურდი – დეოლიგარქიზაციის აბსურდი;** 9.10.2022
  დეოლიგარქიზაციის კანონი – რადიკალების ორმაგი სტანდარტი; 16.10.2022
- **თავდასხმა ევროკომისარზე – ოლივერ ვარჰეის ვიზიტი და ოპოზიციის კრიტიკული შეფასებები;**
- **რადიკალები საკუთარ ხაფანგში;** 27.11.2022
- **მიქსერი მიქსერის წინააღმდეგ;** 18.12.2022
- **ოლიგარქ კეზერაშვილის ტრაგიკომედია;** 2.10.2022
- **პრემიერის ვიზიტი უნგრეთში;**
- **რეალობას აცდენილი ანგარიში** – ევროპარლამენტარების ანგარიში.

ყველა რეპორტაჟში მკვეთრად უარყოფითი და კრიტიკული ტონი იყო ოპოზიციის და რამდენიმე ევროპარლამენტარის მიმართ, ხოლო დადებითი ტონი ხელისუფლების მიმართ. გადაცემას ჰქონდა იგივე ნარატივი, რაც სხვა ყველა დანარჩენ გადაცემასა თუ საინფორმაციო გამოშვებაში აქვს ტელეკომპანია „იმედს“.

აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ოპოზიციის წარმომადგენლები („გირჩის“ და „მოქალაქეების“ გარდა) პოლიტიკურ გადაცემებში არ მონაწილეობენ და სტუდიებში მხოლოდ ხელისუფლების და ხელისუფლებასთან აფილირებული პირები სხედან.

დასკვნა:

ტელეკომპანია „იმედმა“ ფართოდ გააშუქა ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების პროცესი და მთლიანად ევროინტეგრაციის თემა. თუმცა, თავად საკითხი ცალმხრივად გააშუქა და ეს კონკრეტული საკითხიც გამოიყენეს არა რეკომენდაციის პუნქტების სიღრმისეული ანალიზისთვის, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებულ ხედვებზე დებატ-

ების ან ანალიტიკური პროდუქტების შექმნისთვის, არამედ სახელისუფ-ლებო ნარატივების გახმოვანების, ოპოზიციის მარგინალიზაციის მცდე-ლობისა და მთლიანად ერთპარტიული დღისწერიგის ადვოკატირებ-ისთვის.

არხი ტენდენციური იყო ხელისუფლების მიმართ და, შესაბამისად, საკითხი ხელისუფლების პოზიციის მხარდამჭერ ტონში შუქდებოდა. ოპოზიცია, კი ნახსენები იყო მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში და ევროინტეგრაციის პროცესში ქვეყნის ხელისშემშლელ აქტორად. ასევე, ნეგატიურ კონტექსტში ახსენებდნენ რამდენიმე ევროპარლამენტარს და აშშ–ის ელჩს საქართველოში, კელი დეგნანს. შესაბამისად, ამგვარი ნარა-ტივის არსებობის პირობებში მთლიანად დაიკარგა მთავარი სათქმელი რატომ არის ჩვენი ქვეყნისთვის ამ 12 პუნქტის შესრულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რა სარგებელს იღებს სახელმწიფო და მისი ყოველი მოქალაქე, რა სირთულეებსა და გამოწვევებს ავიცილებთ თავიდან კანდი-დატის სტატუსის მიღებით და რამდენად დაგვაახლოებს ეს როგორც ერთიან ევროპულ ბაზართან, ასევე, ჩვენს, კონსტიტუციურად განცხად-ებულ მიზანთან – გავხდეთ ევროკავშირის წევრები.

„ტვ პირველი“

1 ოქტომბრიდან – 30 დეკემბრამდე პერიოდში „ტელეკომპანია პირველმა“ მონიტორინგისთვის არჩეულ ტელევიზიებს შორის, განსაკუთრებით მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „პირველები“, ყველაზე ცოტა დრო დაუთმო საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, კანდიდატის სტატუსის მისაღებად შესასრულებელ 12 რეკომენდაციის თემის გაშუქებას.

ტელეკომპანია „პირველი“ სამონიტორინგო თემის ყველა მიმართულებას ნეგატიურად აშუქებდა და ოპოზიციის შეხედულებების მხარდამჭერად გამოდიოდა. ხელისუფლების მიმართ კი მკვეთრად გამოხატული კრიტიკ-ული და ნეგატიური ტონით გამოირჩეოდა. ხელისუფლების წარმომად-გენლების პოზიცია მხოლოდ ეთერში სინქრონების გაშვებით გამოიხატებ-ოდა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ქართული ოცნების“ წარ-მომადგენლები რამდენიმე წელია არხს ბოიკოტს უცხადებენ და უარს

ამბობენ ტელევიზიაში სტუმრობაზე. შესაბამისად, არც ერთ გადაცემაში ხელისუფლების წარმომადგენელი არ ყოფილა.

კერძოდ, ტელეარხმა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში **„პირველები“** მე–5 რეკომენდაციის - **„დეოლიგარქიზაციის“ გაშუქებას** სულ 13 სიუჟეტი მიუძღვნა, რამაც 70 წუთს შეადგინა.

13 სიუჟეტი = 70 წუთი

ნარატივი: „დეოლიგარქიზაცია ივანიშვილის გარეშე“ – დებიძინიზაცია არ იქნება. „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი უარი ევროკავშირს. ოცნება პარლამენტში განიხილავს კანონპროექტს, რომელიც ივანიშვილის ოლიგარქად გამოცხადების შანსს პრაქტიკულად არ ტოვებს. დეოლიგარქიზაციის ნაცვლად, ხელისუფლება პოლიტიკური რეპრესიების ახალ კანონს იღებს, მამამარჩენალს კი, პოლიტიკურ იმუნიტეტს აძლევს. ეს ფაქტობრივად, ევროკავშირის მოტყუებას ნიშნავს...“

13.54 წუთიდან–23.54 წუთამდე

„კანონი „ქართულმა ოცნებამ“ ვაჭრობის საგნად აქცია – ან დაუჭერს ოპოზიცია მხარს იმ კანონპროექტს, რომელსაც „ოცნება“ ამზადებს, ან ჩავარდება... ხელისუფლება ევრორეკომენდაციის ჩანაწერს პოლიტიკური შანტაჟისთვის იყენებს...“, „გადასხვაფერებული დეოლიქარგიზაცია... ხელისუფლება კანონს ოპოზიციონერების წინააღმდეგ გამოიყენებს... ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი შეეხება ყველას ივანიშვილის გარდა და ოლიგარქთა რეესტრს ირაკლი ღარიბაშვილი შეადგენს...“, „ევროპარლამენტმა დაუკონკრეტა ხელისუფლებას, რომ ივანიშვილი არის ოლიგარქი. გავლენიანი ევროპარლამენტარები ეუბნებიან ხელისუფლებას, რომ თუ კანონი ივანიშვილს არ მოერგება, არაფერს ნიშნავს. რადგან ის ახდენს გავლენას პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე. კანონი კი შეეხება ყველას, ივანიშვილის გარდა.“ “ქართული ოცნება უკან იხევს, დეოლიგარქიზაციის კანონპროექტი ვენეციის კომისიას გადაეგზავნება

40.13 წუთი

ნარატივი: დასავლეთის უმწვავესი კრიტიკისა და ზეწოლის შედეგად, მმართველი გუნდი იძულებული ხდება დაელოდოს კომისიის რეკომენდაციებს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიტანოს კანონპროექტი მესამე მოსმენით კენჭისყრაზე.

28.11.2022.

ევროკავშირის რიგით მე–12 რეკომენდაციას, **სახალხო დამცველის არჩევას,** „პირველებმა“ 10 სიუჟეტი მიუძღვნეს, ანუ აღნიშნული რეკომენდაციის გაშუქებას საეთერო დროის 47 წუთი დაეთმო.

10 სიუჟეტი = 47 წუთი

ნარატივი: „ქვეყანა ომბუდსმენის გარეშე – ხელისუფლებას და ოპოზიცია კონსესუსს ვერ აღწევს. ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლება არ ეძებს რეალურ სახალხო დამცველს, მათ ეშინიათ კრიტიკული სახალხო დამცველის და ყველაფერს აკეთებენ, რომ შეთანხმება ვერ შედგეს. ხელისუფლება ამბობს, რომ ისინი მუშობენ, ასევე, ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ ოპოზიციას სურს პროცესის ჩაშლა და არ მიდიან დათმობაზე“... „ოცნება სახალხო დამცველის კანდიდატების წინააღმდეგ“... „ვინ გახდება ომბუდსმენი? პოლიტიკური ვაჭრობის მცდელობა – სახალხო დამცველის შერჩევის თეორიული შანსიც კი არ არსებობს. ომბუდსმენის არჩევა საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდო.“

ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის საკითხს ტელეარხზე მხოლოდ 4 სიუჟეტი დაეთმო, რამაც 18 წუთი შეადგინა.

4 სიუჟეტი = 18 წუთი

ნარატივი: „ოცნება ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას აპირებს, ოღონდ ბიუროს საგამოძიებო ფუნქცია არ ექნება და უფროსს ღარიბაშვილი დანიშნავს. ევროკავშირის რეკომენდაცია სულ სხვა რამეს მოითხოვდა და ოცნება რეკომენდაციას ფასადურად ასრულებს. ოპოზიცია ამბობს, რომ სრული აბსურდია ასეთი ბიუროს შექმნა...“ „ოცნება ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის ალტერნატიული კანონპროექტის ვარიანტის განხილვას არ აპირებს. „ლელოს“ ინიციატივა საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ჩააგდო. ევროკავშირის ერთ–ერთი მოთხოვნა „ოცნებამ“ თავის თავზე მოირგო...“

„დავა ანტიკორუფციული ბიუროს შექმნაზე – ანტიკორუფციული ბიურო ღარიბაშვილის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. პრემიერი, რომელიც არაერთ კორუფციულ გარიგებაშია მხილებული, თავად დანიშნავს ბიუროს ხელმძღვანელს. პარლამენტმა ეს უფლებამოსილება სრულად პრემიერს გადააბარა. უწყება, რომელმაც კორუფციული დანაშაულებები უნდა შეისწავლოს და დამნაშავეები ამხილოს,

ხელისუფლების კონტროლქვეშ იმუშავებს, რაც სანდოობას მას სრულად უკარგავს. ანტიკორიუფციული ბიუროს შექმნა ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციაა, თუმცა ოცნებამ ესეც საკუთარ თავზე მოირგო.“

მართლმსაჯულების რეფორმას, კერძოდ, გენერალური პროკურორის არჩევის წესს „პირველებმა“ 3 სიუჯეტი მიუძღვნეს, ანუ კონკრეტულად ამ რეკომენდაციაზე საუბარს 16 წუთი დაეთმო.

3 სიუჟეტი = 16 წუთი

ნარატივი: ხელისუფლება ცდილობს პროცესის ჩაშლას. თავისივე დაინიცირებული პროექტი არ მოსწონს... მურუსიძის დიდი დაბრუნება. „კლანმა“ მართვის სადავეები დაიბრუნა. ევროკომისიის რეკომენდაციებში პირდაპირ წერია, რომ „კლანი“ უნდა ჩამოშორდეს სისტემას, სხვა შემთხვევაში კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ... ევროკომისიის რეკომენდაციის ფეხქვეშ გათელვაა... მურუსიძის მეორედ მოსვლა – დასავლეთთან ერთად ხელისუფლებამ მუქარა გაუგზავნა ამ ნაბიჯით სხვა მოსამართლეებსაც. ოცნებამ დასავლელ პარტნიორებს ომი გამოუცხადა. კანდიდატის სატუსის მიღების შანსიც კი დაიკარგა...“

ევროკავშირის მე–2 რეკომენდაციას კი, **საარჩევნო რეფორმა,** მხოლოდ 1,5-წუთიანი სიუჟეტი მიეძღვნა.

1 სიუჟეტი = 5 წუთი

ნარატივი: „პოლიტიკური პირობის დარღვევა – ოცნება საარჩევნო რეფორმაზე ისე მუშობს, რომ ბარიერის დაწევას არ აპირებს. ულტიმატუმი აქვთ: სანამ ნაციონალური მოძრაობა კონსტრუქციული არ გახდება, ეს თემა არ განიხილება...“

გარდა კონკრეტული რეკომენდაციების გაშუქებისა, ტელეკომპანია „პირველის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, ზოგადად, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს და ინტეგრაციას სრულად 21 სიუჟეტი მიეძღვნა, რამაც სრულად 120 წუთი შეადგინა.

21 სიუჟეტი = 120 წუთი

რეპორტაჟების თემები გახლდათ:

- **მმართველ გუნდს არ სურს საჯაროდ ისაუბროს ასრულებს თუ არა 12 პუნქტიან გეგმას, ან როგორ ასრულებს.**
- აგენტები: ოცნება ევროპარლამენტარებზე. [1] 30.11.2022

ნარატივი: ოცნება აგენტებს უწოდებს ევროპარლამენტარებს, ვინც ივანიშვილს ოლიგარქს უწოდებს.

- შტურმი ევროპარლამენტზე[2] - ევროპარლამენტარების მიერ მიღებულ რეზოლუციას აკრიტიკებს ხელისუფლება და ჩალის ფასად აფასებს.
- **ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები საქართველოს მთავრობით უკმაყოფილოები არიან.**
- **პრემიერის ვიზიტი უნგრეთში – ორბანი, პრემიერი და ჩიტები**. ევროპის ყველაზე პრორუსი მმართველი პრემიერის მთავარ მოკავშირედ იქცა.
- **ევროპარლამენტის მწვავე ანგარიში** – ევროპარლამენტმა დაუკონკრეტა ხელისუფლებას, რომ ივანიშვილი არის ოლიგარქი.
- **ევროდეპუტატების მიმართვა ზურაბიშვილს** – მას უთხრეს, რომ ნიკა გვარამია არის პოლიტპატიმარი, ზურაბიშვილი დუმს.
- **ვერდიქტი ოცნებისთვის** – ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური გავლენებისგან საქართველო უნდა გათავისუფლდეს, ასეთია ევროპარლამენტერების მიერ მიღებული რეზოლუცია.
- **ევროპარლამენტის ანგარიში – წულუკიანი ევროპას უპირისპირდება.** ევროდეპუტატებზე თავდასხმის მორიგი სერია გახსნილია.
- **ევროკავშირმა წამზომი ჩაგვირთო** – ევროკომისრის ვიზიტი საქართველოში – ბოლო გაფრთხილება ქართულ ოცნებას. შეასრულეთ 12 პუნქტი ოპოზიციასთან ერთად, სხვა შემთხვევაში ბრიუსელი დავალებას არ ჩაიბარებს.

რაც შეეხება პოლიტიკურ თოქშოუებს და გადაცემებს, ევროკავშირის 12 რეკომენდაციას, კონკრეტულ საკითხებს და კანდიდატის სტატუსს ყველაზე მეტი დრო ტელეკომპანია „პირველზე“, გადაცემა „დღის ამბებმა“ დაუთმო.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „დღის ამბები“ ყოველ დღე გადის ეთერში. რამდენიმე გადაცემის თემა იყო:

[1] 37.29 წუთი
[2] 40.03 წუთიდან – 44.31 წუთამდე

- ✓ „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ კანონი, 22.12.2022
- ✓ სახალხო დამცველის კანდიდატების არჩევა, 22.12.2022
- ✓ მართლმსაჯულების რეფორმა,
- ✓ საარჩევნო რეფორმა,
- ✓ ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა,
- ✓ როგორ სრულდება 12–პუნქტიანი გეგმა, ევროპარლამენტარების მიერ მიღებული რეზოლუცია/ანგარიში, 13.12.2022
- ✓ ოლივერ ვარჰეის ვიზიტი, ევროპარლამენტარების,
- ✓ საქართველოში აშშ–ის ელჩის, ევროკავშირის ელჩის განცხადებები,
- ✓ საქართველოს ევროპული პერსპექტივა,
- პრემიერის წლიური ანგარიში – როგორ სრულდება 12 რეკომენდაცია.

ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა ესაუბრათ ალტერნატიულ კანონპროექტებზე, რომლებზეც მუშაობდნენ, რასაც ტელეარხზე 24 გადაცემა მიეძღვნა სრულად. 24 გადაცემა

აღსანიშნავია, რომ გადაცემის მთავარი თემის მიუხედავად, სხვადასხვა თემების კონტექსტში, მაგალითად მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას და საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესების, ოპოზიციაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თუ სხვა საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხილვის კონტექსტში, გადაცემის წამყვანები და სტუმრები ხშირად ახსენებდნენ და საუბრობდნენ, ზოგადად, 12–ვე რეკომენდაციის შესრულების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

> ძირითადი **ნარატივი**: ხელისუფლება არ ასრულებს რეკომენდაციებს, ფასადურია მათი ყველა რეფორმა და ფუნდამეტურ ცვლილებებს არ ახორციელებს, 12–პუნქტიანი გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით პროგრესი არ გვაქვს, ოცნება აფერხებს ევროინტეგრაციას და კანდიდატის სტატუსს, „ქართული ოცნების“ პირობებში ვერ მივიღებთ.

გადაცემაში „რეაქცია“ 2–ჯერ იყო გადაცემის ერთ–ერთი მთავარი თემა „დეოლიგარქიზაციის“ კანონი და ზოგადად დეოლიგარქიზაცია – დებიძინიზაციის სახელით. ასევე, ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესის კონტექსტში დიდი დრო დაეთმო მართლმსაჯულების რეფორმას, ევროპარ-

ლამენტარების რეზოლუციას, სანქციები და ოლიგარქები და ზოგადად ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას, ოლივერ ვარჰეის ვიზიტს, სრულად 7 გადაცემა დაეთმო.

7 გადაცემა

„რეაქცია“–შიც სხვადასხვა თემების კონტექსტში, ისევე, როგორც გადაცემა „დღის ამბებში“, სტუმრები ახსენებდნენ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების აუცილებლობას და 12–ვე რეკომენდაციას. იმავე ნარატივით.

გადაცემაში „საჯარო პოლიტიკა“ 2–ჯერ იყო ერთ–ერთ თემად მართლმსაჯულების რეფორმაზე საუბარი, მურუსიძე–გვრიტიშვილის დაბრუნების და ნიკა გვარამიას სასამართლოს კონტექსტში. ერთი გადაცემა მიეძღვნა ოცნების ანტიდასავლური განცხადებების ფონზე, ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას და ერთი გადაცემა – 12 რეკომენდაციის შესრულებას. ასევე, ევროპარლამენტის რეზოლუციას და ანგარიშს, ყოველივე ზემოაღნიშნულს სრულად 4 გადაცემა მიეძღვნა.

4 გადაცემა

ნარატივი: რეგიონში ვკარგავთ მოწინავე პოზიციას და ვშორდებით ევროპას. ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს, ხელისუფლებას არ უნდა გეგმის შესრულება.

გადაცემამ „პოლიტიკური ამბები“ **ერთი გადაცემა** დაუთმო „დეოლიგარქიზაციის“ კანონს, **2 გადაცემა** – სახალხო დამცველის კანდიდატების არჩევის საკითხს და ბოლო გადაცემაში, წლის შემაჯამებელ თემებში, ერთ–ერთი განსახილველი თემა იყო ევროკავშირის 12 რეკომენდაცია. თუმცა, ისევე როგორც სხვა გადაცემებში, აქაც სხვადასხვა თემების კონტექსტში, სტუმრები საუბრისას ხშირად ახსენებდნენ 12–ივე რეკომენდაციას. სრულად საკითხის განხილვას 4 გადაცემა დაეთმო.

ჯამში 4 გადაცემა

გადაცემაში „პირველი ხაზი“ 14–ჯერ იყო გადაცემის ერთ–ერთი თემა ევროპული პექრსპექტივა და 12 რეკომენდაცია. რამდენჯერმე იყო დეოლიგარქიზაციის კანონი, სახალხო დამცველის არჩევის საკითხი, ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის საკითხი, მართლმსაჯულების რეფორმა. ევროპარლამენტის რეზოლუცია/ანგარიში.

ნარატივი: ხელისუფლებას არ სურს კანდიდატის სტატუსის მიღება, 12 პუნქტის ბუტაფორიულად შესრულება ხდება. „ოცნება“ ქმნის რეკომენდაციების შესრულების ილუზიას.

დასკვნა:

„ტელეკომპანია პირველმა“ ევროკავშირის 12 რეკომენდაციის თემა გააშუქა შედარებით დაბალი ინტენსივობით, თანაც, ცალმხრივად. კონკრეტულად, თოქშოუებში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის და მათ პოზიციასთან დაახლოებული ექსპერტების, პოლიტოლოგების, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მოსაზრებები, ხელისუფლების პოზიციას კი მაყურებელს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში სთავაზობდა ნეგატიურ კონტექსტში. ხელისუფლების ევროინტეგრაციის პოლიტიკა შეფასებული იყო, როგორც უარყოფითი და ქვეყნის წინსვლაში ხელისშემშლელი.

საკითხის ცალმხრივად გაშუქებისას არ ხდებოდა რეკომენდაციის პუნქტების სიღრმისეული ანალიზი – სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებულ ხედვებზე დებატების ან ანალიტიკური პროდუქტების შექმნისთვის.

აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ტელეკომპანია იმედისგან განსხვავებით, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლების უმრავლესობისთვის უბრალოდ ჩაკეტილია ტელევიზია, TV პირველზე სახელისუფლებო პარტიის ბოიკოტი მოქმედებს და, შესაბამისად, გადაცემებში რომ მათი წარმომადგენლები არ მონაწილეობენ, ეს “ქართული ოცნების” პარტიული გადაწყვეტილების ბრალია და არა ტელევიზიის.

ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“

ტელეკომპანია „პალიტრანიუსმა“ სამი თვის განმავლობაში საკმაოდ დიდი დრო დაუთმო ევროკავშირის 12 რეკომენდაციის გაშუქების პროცესს. გამოირჩეოდა ნეიტრალური ტონით და სხვა ტელევიზიებთან შედარებით დაბალანსებული ინფორმაციით.

მონიტორინგის პერიოდში – 1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრამდე „პალიტრანიუსმა“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 12 რეკომენდაციიდან ყველაზე მეტი დრო ევროკავშირის ბოლო, მე–12 რეკომენდაციას – **სახალხო დამცველის კანდიდატების** შერჩევის პროცესს დაუთმო. მას ტელეარხზე სრულად 32 სიუჟეტი მიეძღვნა, რამაც 117 წუთი (1.57 საათი) შეადგინა.

32 სიუჟეტი = 117 წუთი

ძირითადი ნარატივი: ხელისუფლების პოზიცია – ოპოზიცია თუ გამოხატავს ნებას, შესაძლებელია კომპეტენტური კანდიდატის არჩევა. ხელისუფლება მზად არის ამისთვის...ოპოზიციის განწყობა – ეს პროცესი არის ფარსი და ხელისუფლებას სურს საკუთარი კანდიდატის არჩევა. პარლამენტმა სახალხო დამცველი ვერ აირჩია. რეკომენდაცია ვერ შესრულდა... ხელისუფლების და ოპოზიციის ურთიერთბრალდებები.

საინფორმაციო გამოშვება „პალიტრანიუსმა“ მე–12 რეკომენდაციის გაშუქების შემდეგ, ყველაზე დიდი დრო **მე–5 რეკომენდაციას – დეოლიგარქიზაციის საკითხს დაუთმო,** რაც გამოიხატა იმაში, რომ საკითხზე მსჯელობას 24 სიუჟეტი მიეძღვნა, საეთერო დროის 95 წუთი (1,35 საათი).

24 სიუჟეტი = 95 წუთი

ძირითადი ნარატივი: ნეიტრალური. „ოპოზიცია კანონის ანტიევროპულ ბუნებაზე საუბრობს... ფასადურს უწოდებს, მმართველი პარტია კი კოლეგებს ახსენებს, რომ ამ კანონის უკრაინულმა ვერსიამ ევროპელების მოწონება დაიმსახურა...“ „ქართული ოცნება დეოლიგარქიზაციის კანონპროექტს ვენეციის კომისიაში აგზავნის. სიუჟეტებში იყო როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარები. ნარატივი: "ქართული ოცნება" დეოლიგარქიზაციის კანონპროექტს ვენეციის კომისიას უგზავნის, ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადებით კანონპროექტის ვენეციის კომისიაში გაგზავნა პოზიტიური ნაბიჯია, ოპოზიცია ხელისუფლების ქმედებებს ჟონგლიორობას უწოდებს, მმართველი პარტია კი ევროკომისიისგან დადებითი დასკვნის მოლოდინშია... ირაკლი კობახიძე: კანონპროექტის ვენეციის კომისიაში გაგზავნა საერთოდ არ იყო საჭირო, მაგრამ რადგან ასეთი თხოვნა გაჩნდა, მხედველობაში მივიღეთ“.

მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის თვეში ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 12 რეკომენდაციიდან ყველაზე მეტი სიუჟეტი ევროკავშირის რიგით **მე–2 რეკომენდაციას – სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი მუშაობა, საპარლამენტო კონტროლი და საარჩევნო კანონმდებლობა** – მიეძღვნა, სამი თვის მონიტორინგის შედეგად, საინფორმაციო გამოშვებამ საკითხს ჯამში 16 სიუჟეტი მიუძღვნა (საეთერო დროის 55 წუთი). **ძირითადი ნარატივი:** ნეიტრალური. ყველა მხარის პოზიციებით წარმოდგენილი.

16 სიუჟეტი = 55 წუთი

მე–3 რეკომენდაციას – მართლმსაჯულების რეფორმას (საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, გენერალური პროკურორის არჩევის წესი, იუსტიციის საბჭოს რეფორმა) სამი თვის მონიტორინგის შედეგად, დადგინდა, რომ ტელეკომპანიამ საინფორმაციო გამოშვებაში საკითხს ჯამში 13 სიუჟეტი მიუძღვნა.

13 სიუჟეტი = 45 წუთი

ძირითადი ნარატივი: ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლება არ ითვალისწინებს მესამე სექტორისა და ოპოზიციის რეკომენდაციებს. ხელისუფლების თქმით, გენერალური პროკურორის არჩევის წესი სამართლებრივად გაუმართავია, მაგრამ რეკომენდაციის შესრულება უფრო მნიშვნელოვანია და ამიტომ იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.

ევროკავშირის **მე–4 რეკომენდაციას – ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობის და გაძლიერების, ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას**, ოქტომბერში „პალიტრანიუსმა“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 6 სიუჟეტი მიუძღვნა, შესაბამისად, საეთერო დროის 31 წუთი.

6 სიუჟეტი = 31 წუთი

ძირითადი ნარატივი: მმართველი გუნდის სამთვიანი მუშობის შემდეგ წარდგენილ **საკანონმდებლო ცვლილებების დოკუმენტს კრიტიკა მოჰყვა. ოპოზიცია აკრიტიკებს ბიუროს უფროსის კანდიდატის პრემიერის მიერ დანიშვნას.** მესამე სექტორიც უკმაყოფილოა. ხელისუფლება დოკუმენტს იწონებს. „პარლამენტმა ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის თაობაზე ინიცირებული საკანონმდებლო პროექტი პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით დაამტკიცა“. **ნარატივი:** ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის მიუღებ-

ელია ქართული ოცნების მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რადგან თვლიან რომ ის ევროკომისიის 12 რეკომენდაციას ვერ აკმაყოფილებს. ხელისუფლებას საპირისპირო აზრი აქვს. ისინი ამ-ბობენ, რომ ცვლილება სრულად პასუხობს ევროპულ რეკომენ-დაციას".

რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს: მთავარ გამოშვებაში, ოქტომბერში, მხოლოდ ერთხელ დაეთმო, ისიც ძალიან მცირე დრო, მხოლოდ **1 წუთი და 20 წამი, ევროკავშირის მე–9 რეკომენდაციას** – გენდერული თანასწორობის გაძლიერების და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას. ასევე, ორჯერ იყო ნახსენები 1-ლი რეკომენდაცია – **დეპოლა-რიზაცია,** მას სრულად **7 წუთი დაეთმო.**

1 წუთი და 20 წამი

7 წუთი

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული რეკომენდაციების გარდა, ტელეკომპანიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, რამდენიმე სიუჟეტი დაეთმო ევ-როკავშირში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივას, კანდიდატის სტატუსს და მნიშვნელობას. მაგალითად, რა ეტაპზეა ევროსაბჭოს 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესი.

ნარატივი: „დეოლიგარქიზაცია, დეპოლარიზაცია, დამოუკიდებელი ომბუდსმენის შერჩევა და თავისუფალი მედია გარემო - ეს ის მთავარი გამოწვევებია, რომლის წინაშეც საქართველო ევროკავშირის წევრობისთვის დადგა."

კონკრეტული რეკომენდაციების გარდა, ზოგადად, საკითხი შუქ-დებოდა სხვადასხვა თემების კონტექსტშიც. კერძოდ, ევროპარ-ლამენტის კრიტიკული რეზოლუციების მიღების დროს, საქარ-თველოში აშშ–ის ელჩის და ევროკავშირის ელჩის განცხადებებისას, ევროკომისრის ოლივერ ვარჰეის ვიზიტის დროს, ევროპარლამენტში გამართული დებატების დროს, ევროპარლამენტარების განცხადებ-ების დროს. ასევე, პრემიერ–მინისტრის პარლამენტში ინტერპელა-ციის წესით გამოსვლის დროს. საერთო ჯამში, ზოგადად, **ევრო-კავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობას და პერსპექტივას** დაეთმო 22 სიუჟეტი, რამაც სრულად 92 წუთი შეადგინა.

22 სიუჟეტი= 92 წუთი.

რაც შეეხება **პოლიტიკურ თოქშოუებს,** გადაცემაში **„პოლიტიკური სივრცე“,** რომელიც კვირაში ერთხელ გადის ეთერში, **დეოლიგარქიზაციის საკითხი 6–ჯერ** იყო გადაცემის ერთ–ერთი მთავარი თემა. ევროპული რეკომენდაციები, დეოლიგარქიზაცია და ვენეციის კომისია.

> ***ოპოზიციის წარმომადგენლების ნარატივი:*** „ხელისუფლება მზად არის რისკის ქვეშ დააყენოს ქვეყანა და კანდიდატის სტატუსიც, ოღონდ შეინარჩუნოს ძალაუფლება...“
>
> ***ხელისუფლების ნარატივი:*** „ოპოზიცია აზიანებს პროცესს, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს.“ გადაცემაში ასევე, მთავარი თემა იყო გენერალური პროკურორის არჩევის წესი 2–ჯერ და სახალხო დამცველის კანდიდატების არჩევის პროცესი – 3–ჯერ. რამდენიმე რეკომენდაციას, კერძოდ, საარჩევო სისტემას, პოლარიზაციას, მართლმსაჯულების რეფორმას სხვადასხვა თემების კონტექსტში საუბრისას ახსენებდნენ გადაცემის სტუმრები და წამყვანი.

აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანი, საკმაოდ კრიტიკულ კითხვებს უსვამს როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებს.

გარდა კონკრეტული რეკომენდაციების განხილვისა, გადაცემა „პოლიტიკური სივრცის“ მთავარი თემები იყო, ზოგადად:

- **როგორ სრულდება ევროკავშირის რეკომენდაციები? გვაქვს თუ არა წინსვლა 12 რეკომენდაციის შესრულების საკითხში.**
- **ევროპარლამენტის რეზოლუცია და 12 რეკომენდაცია.**
- **ოლივერ ვარჰეის ვიზიტი და როგორ ვასრულებთ რეკომენდაციებს.**

გადაცემაში წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წევრები. თუმცა, დებატები, ან განხილვა ორივე მხარის მონაწილეობით არ ყოფილა.

გადაცემაში **„360 გრადუსი“,** რომელიც კვირაში 3–ჯერ გადის ეთერში, **დეოლიგარქიზაციის** საკითხი მთავარ თემად 3–ჯერ იყო განხილული, ასევე, 3–ჯერ იყო მსჯელობა **სახალხო დამცველის** კანდიდატების არჩევის პროცესზე. კერძოდ, ვინ გახდება სახალხო დამცველი? სახალხო დამ-

ცველის არჩევა, როგორ სრულდება რეკომენდაციები – კენჭისყრაზე ჩაგდებული საკითხები.

ასევე, გადაცემამ რამდენიმე ეთერში დაუთმო დრო, ზოგადად, კანდიდატის სტატუსის მიღების პერსპექტივას და მნიშვნელობას.

მთავარი თემები:

- **სკანდალური ჩანაწერები რეზოლუციის პროექტში – რეკომენდაციების შესრულება და ევროპული პერსპექტივა;**
- **ევროპარლამენტარების გზავნილები;**
- **ოლივერ ვარჰეის ვიზიტი და მთავარი გზავნილები;**
- **ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესი; როგორ სრულდება რეკომენდაციები?**
- **ევროპარლამენტის რეზოლუცია და პოლარიზაცია;**
- **ევროპული რეკომენდაციების შესრულების შედეგები.**

გადაცემაში **„თავისუფალი სტუდია“**, რომელიც კვირაში ერთხელ გადის ეთერში, სამი თვის განმავლობაში ყველაზე მეტი დრო, სწორედ ევროკავშირის 12 რეკომენდაციას და ევროპულ პერსპექტივას დაეთმო. გადაცემა ასევე გამოირჩევა ხელისუფლების მაღალი რანგის სტუმრების ვიზიტებით - პარლამენტის თავმჯდომარე, ვიცე–სპიკერები, დეპუტატები. ასევე, საგარეო პოლიტიკის ექსპერტები და ა.შ. თუმცა, როგორც ყველა სხვა გადაცემაში, აქაც დებატები ან მსჯელობა განსხვავებული აზრის წარმომადგნელებს შორის არ ყოფილა. გადაცემის წამყვანი საკმაოდ მომზადებული და კრიტიკული კითხვებით გამოირჩევა, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ. ბალანსი დაცულია. ტონი – ნეიტრალური. გადაცემის თემები იყო:

- **დეოლიგარქიზაცია, სახალხო დამცველის კანდიდატების არჩევის საკითხი;**
- **როგორ სრულდება რეკომენდაციები;**
- **ოლიგარქები და საქართველო;**
- **დეოლიგარქიზაცია ქართული გაგებით;**
- **გზავნილები ბრიუსელიდან – ევროპარლამენტის კრიტიკული რეზოლუცია;**
- **დგას თუ არა ევროკავშირის კანდიდატობა საფრთხის ქვეშ? რა გააკეთა ხელისუფლებამ 12 რეკომენდაციის შესრულების კუთხით.**

გადაცემაში „რეზიუმე“, რომელიც კვირაში 5–ჯერ გადის ეთერში გენერალური პროკურორის არჩევის საკითხი ერთხელ იყო მთავარ თემად, 2–ჯერ სახალხო დამცველის კანდიდატების არჩევის პროცესი, ერთხელ „დეოლიგარქიზაციის“ კანონი და ვენეციის კომისია. კონკრეტული რეკომენდაციები ცალკე თემებად ხშირად არ ყოფილა განხილული, თუმცა რამდენიმე გადაცემის თემა გახლდათ:

- **12–პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესი;**
- **ევროპარლამენტის მძიმე რეზოლუცია, ევროპარლამენტარების გზავნილები;**
- **ოლივერ ვარჰეის ვიზიტი და გზავნილები;**
- **როგორ ასრულებს ხელისუფლება ევროპულ რეკომენდაციებს;**
- **ევროპასთან ურთიერთობა, ევროპული რეკომენდაციები და გზა კანდიდატის სტატუსისკენ;**
- **ევროკავშირში ინტეგრაციის პესპექტივა;**
- **ინტერვიუ ევროპარლამენტარ, მარკეტა გრეგორევასთან.**

ნარატივი: „2023 წელს ეს იქნება საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების მთავარი თემა, რამდენად სრულდება რეფორმები და არის თუ არა საქართველო მზად კანდიდატის სტატუსის მისაღებად. თქვენ იცით, მე როგორ ვუჭერ მხარს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას და მჯერა, რომ საქართველომ უნდა მიიღოს ეს სტატუსი, მაგრამ ამით არ დამთავრდება რეფორმების ომი. პირიქით, კანდიდატის სტატუსის მინიჭება გაზრდის რეფორმების განწყობას და მოტივაციას და უნდა გაგრძელდეს პროგრესი და უფრო სიღრმისეული რეფორმები და საქართველო მეტად წინ უნდა წავიდეს რეფორმების გზაზე. ასე რომ, საქართველოს გზაზე ბევრი რეფორმებია, მაგრამ ბევრი იმედებიც... მე იმედი მაქვს, რომ საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს! დიახ, ეს მოხდება თქვენთვის!“. 28.12.2022

მთავარი თემების გარდა, ზოგადად, მიმდინარე პოლიტიკურ თუ საგარეო პოლიტიკის თემებთან ერთად, გადაცემაში სტუმრები და წამყვანებიც საუბრობდნენ 12–ივე რეკომენდაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა ყოველ სამუშაო დღეს გადის ეთერში, შეიძლება ითქვას, რომ გადაცემის მთავარი თემები, ხშირად არ ეთმობოდა ევროკავშირის 12 რეკომენდაციას.

გადაცემის ტონიც მეტ–ნაკლებად ნეიტრალური იყო. უფრო მეტ წილად, ოპოზიციის ხედვების მხარდამჭერი.

დასკვნა:

ტელეკომპანია „პალიტრანიუსმა“ სამი თვის განმავლობაში საკმაოდ დიდი დრო დაუთმო ევროკავშირის 12 რეკომენდაციის გაშუქებას. გამოირჩეოდა ნეიტრალური ტონით და დაბალანსებული ინფორმაციით. გადაცემებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები და აზრთა მრავალფეროვნება მეტ–ნაკლებად იყო დაცული, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირად, გადაცემის ბოლო სტუმარი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო და, ოპოზიციის წარმომადგენლებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა, რომ პასუხი გაეცათ მათი მისამართით გაჟღერებული ბრალდებებისთვის. არხზე დებატები არ არის. ამიტომაც, იყო შემთხვევ-ები, როცა ოპოზიციის წევრები არ იყვნენ გადაცემებში და ევროკავშირის რეკომენდაციების თემაზე მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობდნენ (მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშ-ვილი) იყო პირიქითაც.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

შედარებით ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ ნეიტრალურად გაშუქების მცდელობები ჰქონდა „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, თუმცა, ხშირად, ხელისუფლების პოზიციის მიმართ ტენდენციურობით და ლოიალური განწყობებით გამოირჩეოდა. ხელისუფლების წარმომადგენელების პოზი-ციას უთმობდა უფრო მეტად საეთერო დროს, როგორც მთავარ საინფორ-მაციო გამოშვებაში, ისე – პოლიტიკურ თოქშოუებში.

მედიამონიტორინგის პერიოდში, 1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრამდე, საზო-გადოებრივმა მაუწყებელმა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბე“ ყველაზე მეტი სიუჟეტი და დრო ევროკავშირის 12 რეკომენდაციიდან მე–12 რეკომენდაციას სახალხო დამცველის არჩევის წესს და პროცესს დაეთმო. კერძოდ, ტელეარხზე მას 23 სიუჟეტი მიეძღვნა, რამაც სრულად 112 წუთი შეადგინა. .

23 სიუჟეტი= 112 წუთი.

ნარატივი: „სახალხო დამცველის კანდიდატზე ხელისუფლება და ოპოზიცია კონსესუსს ვერ აღწევს. ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიციას სურს პროცესის ჩაშლა. ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებას არ სურს დამოუკიდებელი კანდიდატის არჩევა...“ „ხელისუფლება ოპოზიციას 5 კანდიდატს სთავაზობს ოპოზიციისთვის კატეგორიულად მიუღებელია...“

„პარლამენტმა სახალხო დამცველი ვერ აირჩია.

ნარატივი: სახალხო დამცველის არჩევის პროცესი ჩავარდა. 19 კანდიდატიდან პარლამენტმა ვერც ერთი ვერ აირჩია... პროცესი ჩიხში მას შემდეგ შევიდა, რაც ბოლო კონსულტაციებზე „ქართულმა ოცნებამ“ ოპონენტებს ხუთკაციანი სია და მათგან ნებისმიერზე შეთანხმება შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. ომბუდსმენის არჩევის ჩავარდნაში ხელისუფლება ოპოზიციას ადანაშაულებს და მას მესამე სექტორის ულტიმატუმის მსხვერპლად მიიჩნევს. ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ იმ სამ კანდიდატს უჭერდა მხარს, რომელთა საკითხის განხილვაც კი მმართველმა პარტიამ თავიდანვე გამორიცხა. გა--მოცხადდება ახალი კონკურსი, კონსულტაციები კი თებერვალში გაგრძელდება. სახალხო დამცველის არჩევა პარლამენტმა საგაზაფხულო სესიაზე უნდა სცადოს.“

ამ საკითხზე მომზადებული სიუჟეტების ტონი უფრო ნეიტრალური იყო, წარმოდგენილი იყო როგორც ოპოზიციის, ისე უმრავლესობის წარმომადგენლების პოზიციები, კომენტარები, თუმცა, უფრო მეტი დრო ხელისუფლების პოზიციის გაშუქებას დაეთმო და მათი კომენტარებით სრულდებოდა ძირითადად სიუჟეტები.

„დეოლიგარქიზაციას“ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სულ 14 სიუჟეტი, სრულად 87 წუთი მიუძღვნა. საკითხის გაშუქებისას, მაუწყებელი ცდილობდა ყველა მხარის პოზიცია ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა, გაცილებით მეტ დროს უთმობდა ხელისუფლების პოზიციის გაშუქებას, მათ კომენტარებს, ვიდრე ოპოზიციის და ჟურნალისტის ტექსტების ნარატივიც უფრო ხელისუფლების პოზიციის წარმომჩენი იყო. მაგალითად, 2022 წლის 2 ნოემბერს, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბე“ „დეოლიგარ-

14 სიუჟეტი= 87 წუთი.

ქიზაციის“ შესახებ კანონპროექტს **10 წუთიანი** სიუჟეტი მიეძღვნა. საინ-ფორმაციოს წამყვანისა და სიუჟეტის ავტორის ტექსტების გარდა, მხოლოდ **1 წუთი და 15 წამი** დაეთმო ოპოზიციის წარმომადგენლების კომენტარებს, მაშინ როცა, ხელისუფლების წევრების კომენტარებს თითქმის - **4 წუთი (3.92 წამი).**

10 წუთიანი

1 წუთი და 15 წამი

4 წუთი

> იმავე საკითხზე, სხვა სიუჟეტების **ნარატივი**: „ევროპის მიერ მო-წონებული „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ უკრაინული კანონის ანა-ლოგი ოპოზიციისთვის მიუღებელია. ოპოზიციის აზრით, ეს პრო-ექტი ევროპულ რეკომენდაციას არ პასუხობს და შეეხება ყველას ივანიშვილის გარდა. ოპონენტების წინააღმდეგობის მიუხედავად ხელისუფლება კანონპროექტის მიღებას აპირებს და აცხადებს, რომ კანონი ევროპულ რეკომენდაციებს პასუხობს“...

“დეოლიქარგიზაციის“ კანონს ხელისუფლება ვენეციის კომისიაში გადაგ-ზავნის და პროცესი საკანონმდებლო ორგანოში შეჩერდება...“

ევროკავშირის რიგით მე-2 რეკომენდაციას **საარჩევნო სისტემის რეფორმას და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებას** საზოგადოებრივმა მაუწ-ყებელმა 13 სიუჟეტი მიუძღვნა, რამაც საეთერო დროის 76 წუთი დაიკავა.

13 სიუჟეტი = 76 წუთი

> **ჟურნალისტის ტექსტი:** „საარჩევნო რეფორმა და ვენეციის კომისიის წინასწარი დასკვნა მორიგი პოლიტიკური ვნებათაღელვის მიზეზი ხდება. რადიკალურ განცხადებებს აკეთებენ ის ოპოზიციური პარ--ტიები, რომლებიც საარჩევნო რეფორმის მოსამზადებლად ხელისუფ-ლების მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფს თავიდანვე გაემიჯნენ და ალტერნატიული პროექტი შეიმუშავეს...“
>
> **ნარატივი**: „ოპოზიციის ნაწილი უფრო მეტ შენიშვნას კითხულობს და ამბობს, რომ ვენეციის კომისიამ დადებითად რეფორმის მცირე ნაწილი შეაფასა, ხელისუფლება კი, პირიქით აცხადებს და ამბობს, რომ შეფასებები პოზიტიურია და ცვლილებებს ვენეციის კომისია და ეუთო/ოდირი დადებითად აფასებს...“ „პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა საარჩევნო რეფორმის პროექტზე, რომელიც პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო. დარბაზში ოპოზიციაც იმ-

ყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიის წინასწარი დასკვნის გაცნობის შემდეგ დოკუმენტში რამდენიმე ცვლილება შევიდა და ოპონენტთა ცალკეული შენიშვნებიც გაითვალისწინეს, ოპოზიციის ნაწილმა მისი მხარდაჭერისგან მაინც თავი შეიკავა. მთავარი სადავო თემები ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის წესი და ემიგრანტთა მონაწილეობის ფორმაა... ოპოზიცია ამბობს, რომ ოცნების ცვლილებები რეფორმად ვერ შეფასდება და არ შეცვლის საარჩევნო გარემოს. მმართველი გუნდის განმარტებით კი, ოპოზიციის კრიტიკა უსაფუძვლოა, რადგან საარჩევნო კოდექსში ფუნდამენტური ცვლილებები შედის, რაც არჩევნების გაყალბების თეორიულ რისკებს გამორიცხავს...“ სიუჟეტში მეტი დრო აქვს დათმობილი ხელისუფლების შეფასებებს. იწყება ხელისუფლების მხარდამჭერი ნარატივით და სრულდება ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარებით, სადაც „გაბათილებულია“ ოპოზიციის წარმომადგენლების კრიტიკული შენიშვნები.

რაც შეეხება რიგით **მე–3 რეკომენდაციას, მართლმსაჯულების რეფორმას,** საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ამ კონკრეტული საკითხის განხილვას 9 სიუჟეტი დაუთმო, რამაც 47 წუთი შეადგინა.

9 სიუჟეტი = 47 წუთი

ნარატივი: „ევროკომისიის ყველაზე მწვავე რეკომენდაციაზე მუშაობა დასრულდა. ხელისუფლების მიერ შექმნილმა სამუშო ჯგუფმა რეკომენდაციის გათვალისწინებით შეიმუშავა ცვლილებები. ხელისუფლება ამბობს, რომ ეს არის ლეგიტიმური და კარგი ცვლილებები, რომელიც პასუხობს 12 პუნქტიან გეგმას და ყველა ცვლილებება გათვალისწინებულია...“ „სასამართლო რეფორმა ოპოზიციის კრიტიკის მიზეზი გახდა. ოპოზიცია ფიქრობს, რომ რეალური ცვლილებები არ არის...“

ევროკავშირის მე-4 რეკომენდაციას **ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას და სპეციალურ საგამოძიებო და პირადი მონაცემების დაცვის სამსახურების გაძლიერებას** საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 8 სიუჟეტი დაუთმო, ანუ 28 წუთი სრულად.

8 სიუჟეტი = 28 წუთი

ნარატივი: „ევროკომისიის მეოთხე პუნქტი შიდა პოლიტიკური ვნებათაღელვის და პროტესტის მიზეზი ხდება. იგულისხმება რეკომენდაცია, რომელიც ქვეყანას ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობის გაძლიერებას და ელიტური კორუფციის ფაქტების ეფექტურ გამოძიებას ავალებს. „ქართული ოცნების“ მიერ ამ პუნქტის შესასრულებლად მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტს ოპოზიციის დიდი ნაწილი იწუნებს. მმართველი გუნდის ინიციატივა ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას გულისხმობს, რომლის ხელმძღვანელს საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატ-დან პრემიერი დანიშნავს. ოპოზიციის ნაწილი მომავალი ბიუროს დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებს და ხელისუფლებას ალტერ-ნატიულ ინიციატივას სთავაზობს... ხელისუფლება თვლის, რომ მათ მიერ მომზადებული კანონპროექტი ეფექტური მექანიზმი იქნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის და ოპოზიციას არ სურს რე-ალური ცვლილებები, ოპოზიციისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს 12 პუნქტიანი გეგმის შესრულება და მათთვის მიუღ-ებელია გეგმის შესრულება... ოპოზიციის მიზანია პროცესის დაზიან-ება“. სიუჟეტში წარმოდგენილია ყველა მხარის პოზიცია, კომენტარი, თუმცა, როგოც სხვა შემთხვევებში აქაც იწყება და სრულდება ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარებით.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა **1 სიუჟეტი** მიუძღვნა ოპოზიციის, კონკრეტულად, პარტია „ლელოს“ მიერ ამ საკითხზე მომ-ზადებულ ცვლილებებს. გაშუქების ტონი - ნეიტრალური.

პოლარიზაციის საკითხს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 5 სიუჟეტი მიუძ-ღვნა, რამაც 26 წუთს შეადგინა. ძირითადად, ნეიტრალური ტონი და ნარატ-ივი ოპოზიციის და ხელისუფლების ურთიერთბრალდებები, ასევე, ევროპარლამენტარების, ელჩების მოწოდებების კონტექსტის გათვალის-წინებით. აღსანიშნავია, რომ პოლარიზაციის საკითხს მაუწყებელი სხვა-დასხვა თემებთან ერთადაც ახსენებდა.

5 სიუჟეტი = 26 წუთი

ერთი, 5 წუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევ-როკომისიის **მე–11 პუნქტს**.

1 სიუჟეტი = 5 წუთი

ნარატივი: „ევროკომისიის მე–11 პუნქტი შესრულებულად ცხადდება.[3] პუნქტი, რომელიც ქართულ სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების უფრო აქტიურად გამოყენებას გულისხმობს, 3 მოსმენით და 101 ხმით მიღებულია. ეს ის იშვიათი გამონაკლისია, როდესაც ხელისუფლებამ და ოპოზიციამ პოლიტიკურ კონსესუსს მიაღწიეს და მე–11 პუნქტის განხილვამ, სხვა პუნქტებისგან განსხვავებით, ხმაურისა და პროტესტის გარეშე ჩაიარა. თუმცა, კანონპორექტის სასარგებლოდ დაფიქსირებულ ხმებს შორის არ აღმოჩნდა „სტრატეგია აღმაშენებლის“ და „რეფორმების ჯგუფში“ გაწევრიანებული სხვა დეპუტატების ხმები. არგუმენტი, რომ მხარს უჭერდნენ, თუმცა კენჭისყრის დროს, სხვადასხვა მიზეზის გამო დარბაზში შესვლა ან ღილაკზე ხელის დაჭერა ვერ მოახერხეს „ქართული ოცნებისთვის“ დამაჯერებელი არ არის... გიორგი ვაშაძემ ბრიუსელში წასვლამდე თქვა ერთი და მისმა გუნდმა თბილისში გააკეთა მეორე – ევროკომისიის მე–11 რეკომენდაციას მხარი არ დაუჭირეს. მხარდამჭერებს შორის იყო ყველა ოპოზიცური პარტია, მათ გარდა„. საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფში „რეფორმების ჯგუფი“ შედიან: დამოუკიდებელი დეპუტატი თეონა აქუბარდია, „რესპუბლიკური პარტია“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“. სიუჟეტის ტონი იყო ნეგატიური ოპოზიციის პოზიციის მიმართ.

ზოგადად, ევროკავშირში ინტეგრაციას, კანდიდატის სტატუსის მიღებას და რეკომენდაციების შესრულების პროცესში ამ მიმართულებით განხორციელებულ ხელისუფლების, ოპოზიციის თუ ევროპარლამენტარების/ელჩების აქტივობებს, ვიზიტებს და შეხვედრებს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკმაოდ დიდი დრო, დაახლოებით, 300 წუთი მიუძღვნა (40 სიუჟეტი და ჩართვა). აღსანიშნავია, რომ პრემიერის, მინისტრების თუ საპარლამენტო დელეგაციების სხვადასხვა სამიტებზე და ქვეყნებში ვიზიტების გაშუქებისას, მაუწყებელი ხელისუფლების მიმართ მკვეთრად გამოხატული პოზიტიური ტონით გამოირჩეოდა.

40 სიუჟეტი = 300 წუთი

ზოგადი სიუჟეტების, პირდაპირი ჩართვების თემები:

- **პრემიერის ვიზიტი პრაღაში ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე;**

[3] 30.12 წუთიდან – 34.52 წუთამდე

- ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ქართული დელეგაციის ვიზიტი;
- საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ბერლინში – ევროპელი სოციალ–დემოკრატების საერთაშორისო კონგრესი და დეკლარაცია;
- საქართველო ყირიმის პლატფორმის სამიტზე – ერთ–ერთი თემა 12 რეკომენდაციის შესრულებისას მიღწეული პროგრესი და გადადგმული ნაბიჯები;
- ევროინტეგრაციის პროცესი და ოპოზიციის მოლოდინი[4]– სიუჟეტის ტონი ნეგატიური ოპოზიციის მიმართ. ნარატივი: „სტრასბურგიდან დაბრუნებული ოპოზიცია საქართველოსთვის პოლიტიკურ არმაგედონს აანონსებს, რაშიც მმართველ გუნდს ადანაშაულებს – სპეკულაციები რეკომენდაციების შესრულების შეფასების ვადებთან დაკავშირებით... სამი ოპოზიციური პარტიის – „ტრიოს“ (ვაშაძე–ხოშტარია–ჯაფარიძე) წერილი. ტრიოს განცხადებით, 12 პუნქტის შეფასება იმ მიზეზით გადაიდება, რომ რეკომენდაციების შესრულების პროცესში პროგრესი არ არის და საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს... მმართველი გუნდი ოპოზიცის ნაწილს, საქართველოს ევროპული პერსპექტივის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოებაში და პროცესის ხელოვნურად დაზიანებაში ადანაშაულებს. საერთაშორისო პარტნიორების არაერთი მოწოდების მიუხედავად, ევროკომისიის რეკომენდაციების გარშემო, ინკლუზიურის ნაცვლად, კვლავ ორი პარალელური პროცესი მიმდინარეობს...
- სადავო შესწორებები ევროპარლამენტის რეზოლუციაში – ევროპარლამენტის კომიტეტის ანგარიში;
- ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პირველი დიპლომატის ვიზიტი თბილისში, ოლივერ ვარჰეის ვიზიტი და განსხვავებული შეფასებები, ვარჰეის გზავნილები;
- პრემიერის გამოსვლა პარლამენტში – რას აკეთებს ხელისუფლება 12 რეკომენდაციის შესასრულებლად.
- ევროპის სახალხო პარტიის რეზოლუცია – კრიტიკული შეფასებები;
- საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი პორტუგალიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებში და ლუქსემბურგში;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის მინისტერიალი;
- დეკემბრის ბოლოს „ქართული ოცნების“ მიერ ევრორეკომენდაციების შესრულებისთვის გაცხადებული ვადა იწურება – შესრულებული სამუშაო, ოპოზიციის

[4] 11.35 წუთიდან – 19.58 წუთამდე

ნაწილის პრეტენზიები და მმართველი გუნდის პასუხი. პასუხები არაერთგვარიანია;

- **სტრასბურგში საქართველოს შესახებ დებატები – ევროპარლამენტის მიერ მიღებული მწვავე რეზოლუცია, კრიტიკული შესწორებებით საქართველოს შესახებ.**

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბე“ 12 რეკომენდაციის თემები და მუშობის პროცესზე სიუჟეტები მეტ–ნაკლებად ნეიტრალური ტონით გაშუქდა. წარმოდგენილი იყო ყველა მხარის პოზიცია, თუმცა, უფრო მეტი დრო ეთმობოდა ხელისუფლების პოზიციის წარმოჩენას. ასევე, ტენდენციური ხასიათი ჰქონდა სიუჟეტების ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარებით დასრულებას.

5 გადაცემა

რაც შეეხება **პოლიტიკურ თოქშოუებს**, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაცემაში **„აქტუალური შაბათი“** სამი თვის განმავლობაში **5 გადაცემა** დაუთმო კანდიდატის სტატუსს და ევროკავშირის 12 რეკომენდაციას. კერძოდ, გადაცემის თემები:

- ვინ არის ოლიგარქი? „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ კანონი – ევროპის მოწონებული და ქართული ოპოზიციის დაწუნებული კანონი. მოწინააღმდეგეთა არგუმენტები და პროექტის ინიციატორი მმართველი პარტიის პოზიციები. სტუმრები: სანდრო რაქვიაშვილი – „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი; მიხეილ დაუშვილი – პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენელი და გია ცაგარეიშვილი – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელი.

- **ოლივერ ვარჰეის ვიზიტი და დადებითი შეფასებები.** ევროპული პერსპექტივიდან კანდიდატის სტატუსამდე გასავლელი გზა. რა გაკეთდა? რას აკეთებს და რა დარჩა გასაკეთებელი ხელისუფლებას ევროპული რეკომენდაციების შესასრულებლად. როგორია გზა ევროინტეგრაციისკენ. გადაცემის სტუმარი მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელი – ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.
- რა ეტაპზეა 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესი, რაზე თანხმდებიან ოპოზიციისა და მმართველი გუნდის წარმომადგენლები და რა ბედი ელის ვენეციის კომისიაში გაგზავნილ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტს. სტუმრები: სანდრო რაქვიაშვილი – „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი; ირაკლი ქადაგიშვილი – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელი.

- ევროკავშირის მე–2 რეკომენდაციაზე ეუთო/ოდირის გადაწყვეტილება ცნობილია. საარჩევნო რეფორმა. **ნარატივი:** ბოიკოტის რეჟიმში მყოფი ოპოზიციური პარტიების ნაწილის ფარული შეხვედრები მმართველ პარტიასთან. ამბობენ ერთს და აკეთებენ მეორეს. სტუმრები: ლევან იოსელიანი – „მოქალაქეების“ ერთ-ერთი ლიდერი; ალუდა ღუდუშაური – უმრავლესობის წევრი.
- პარლამენტმა სახალხო დამცველი ვერ აირჩია – რატომ ჩავარდა პროცესი. ვინ იყო მზად კონსესუსთვის და ვინ ულტიმატუმისთვის. სტუმრები: სანდრო რაქვიაშვილი – პოლიტიკური პარტია „გირჩი“; თეონა აქუბარდია – დამოუკიდებელი დეპუტატი და მიხეილ სარჯველაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

5 გადაცემიდან ხუთივეში იმყოფებოდნენ სტუმრად ხელისუფლების წარმომადგენლები. ერთ გადაცემაში მხოლოდ ირაკლი კობახიძე საუბრობდა 12 რეკომენდაციის შესასრულებლად ხელისუფლების გადადგმულ ნაბიჯებზე. დანარჩენ ოთხ გადაცემაში კი, ოპოზიციის წარმომადგენლებიდან 3–ჯერ იყო „გირჩის“ წევრი, ერთხელ –„მოქალაქეების“, ერთხელ – პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენელი და ერთხელ - დამოუკიდებელი დეპუტატი თეონა აქუბარდია. სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არ ყოფილან.

| 6 გადაცემა

გადაცემაში **„თავისუფალი ხედვა“** 3 თვის განმავლობაში **ექვსი გადაცემა** მიეძღვნა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას და რეკომენდაციებს.

6 გადაცემიდან ხუთში იმყოფებოდა ხელისუფლების წარმომადგენელი. აქედან 2 გადაცემაში მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელი იყო. სამ გადაცემაში მიიღო მონაწილეობა ოპოზიციის წარმომადგენლებმა: პარტია „გირჩის“ წევრმა ვახტანგ მეგრელიშვილმა, „მოქალაქეების“ წარმომადგენელმა ლევან იოსელიანმა და „ლელოს“ წევრმა ბადრი ჯაფარიძემ. სხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელები არ ყოფილან. ერთი გადაცემა სახალხო დამცველის კანდიდატობის ორ წარმომადგენელს დაეთმო. გადაცემის წამყვანი ცდილობდა ნეიტრალური ტონის შენარჩუნებას, თუმცა კრიტიკული კითხვების დასმით არ გამოირჩეოდა. კერძოდ:

| 4.10.2022

მზადება დეოლიგარქიზაციის უკრაინული კანონის მისაღებად სტუმრები: პარტია „გირჩის“ წევრი ვახტანგ მეგრელიშვილი და „ქართული ოცნების“ დეპუტატი მიხეილ სარჯველაძე.

როგორი უნდა იყოს ახალი სახალხო დამცველი? – სტუდიაში ერთად იყვნენ გადაცემის სტუმრები, სახალხო დამცველობის კანდიდატები ანა აბაშიძე და იაგო ხვიჩია (ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც სტუდიაში ორივე სტუმარი ერთად იყო). 11.10.2022

როგორ მიდის 12–პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესი – სტუმარი მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი. 18.10.2022

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები ევროპული რეკომენდაციების გათვალისწინებით. ევროკავშირის **მე–4 რეკომენდაცია – ანტიკორუფციული ინსტიტუტების და სპეციალური საგამოძიებო სამსახურების გაძლიერება** – სტუმრები: ვიცე–სპიკერი ლევან იოსელიანი და „ქართული ოცნების“ დეპუტატი დავით მათიკაშვილი. 1.11.2022

> **ნარატივი ხელისუფლების:** „საქართველოა ფლაგმანი რეგიონში კორუფციასთან ბრძოლის, ევროკავშირის რეკომენდაციას ვასრულებთ და ვიღებთ შესაბამისს კანონებს. მეორე სტუმარი ლევან იოსელიანი – **ნარატივი:** „ვიღებთ კანონს, რომელიც არავის მოსწონს. ეს რეკომენდაციები ისე ვერ შესრულდება, როგორც მე ვისურვებდი.“

ევროპარლამენტის ანგარიში შესწორებებით საქართველოსთან მიმართებით – სტუმარი მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელი, ვიცე–სპიკერი გია ვოლსკი. 8.11.2022

> **ნარატივი:** აკრიტიკებს ანგარიშს და რამდენიმე ევროპარლამენტარს. გია ვოლსკი: „არის პოზიტიური ადგილებიც ანგარიშში, მაგრამ იმ რეალობასთან აცდენილია, რაც ჩვენს ქვეყანაშია. ეს არის შეტევა ბიძინა ივანიშვილზე.“

ევროკავშირის კომისრის ოლივერ ვარჰეის ვიზიტი და 12 რეკომენდაცია. სტუმრები: „ქართული ოცნების“ დეპუტატი ბექა დავითულიანი და „ლელოს“ ერთ–ერთი ლიდერი ბადრი ჯაფარიძე. 15.11.2022

გადაცემა **„დღის თემამ“** ხუთი გამოშვება მიუძღვნა ევროპულ პერსპექტივას და რეკომენდაციებს. ხელისუფლების წარმომადგენლები 2 გადაცემაში იმყოფებოდნენ. სხვა გადაცემებთან შედარებით „დღის თემაში“, ხშირად იყო

წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების ხედვები და პოზიციები. ასევე, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვა გადაცემებთან შედარებით, „დღის თემის“ წამყვანი მეტ–ნაკლებად კრიტიკული კითხვებით გამოირჩეოდა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ. კონკრეტული გადაცემის თემები და სტუმრები:

- „დღის თემის“, 5 ოქტომბრის გადაცემის მთავარი თემა იყო – „ქართული ოცნება“ ერთპარტიული უმრავლესობის გარეშე, („ხალხის ძალის“ შექმნა და უმრავლესობიდან გასვლა) მაგრამ ერთ–ერთი საკითხი იყო, რომელსაც დიდი დრო დაეთმო დაუჭერს თუ არა მხარს „ხალხის ძალა“ ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. რატომ ვერ მოხერხდა სამი თვის განმავლობაში ევროკავშირის რეკომენდაციების გარშემო ერთი სამუშაო პროცესის წარმართვა, რაც საერთაშორისო პარტნიორების მთავარი მოწოდება იყო. სტუმრები პარტია „მოქალაქეების“ წევრი ალეკო ელისაშვილი და „ხალხის ძალის“ წევრი დიმიტრი ხუნდაძე. | 5.10.2022
- ორი პარალელური პროცესი და ევროკავშირის 12 პუნქტის გარშემო მომზადებული ალტერნატიული კანონპროექტები. „საერთაშორისო პარტნიორების თხოვნის თუ პარტნიორების მოწოდებების მიუხედავად, ერთად მუშობა ვერ მოხერხდა. ხელისუფლების სამუშაო ჯგუფებს თავიდანვე გამიჯნული ოპოზიცია, კვლავ ცალკე მუშაობს. ოთხი თვის თავზე, გამოიკვეთა 4 სადავო პუნქტი, რომელთა შესრულება მმართველ გუნდსა და ოპონენტებს სხვადასხვაგვარად ესახებათ. სასამართლო რეფორმა, საარჩევნო რეფორმა და დეოლიგარქიზაცია...“ სტუმრები: დეპუტატი თამარ ჩარკვიანი და „ლელოს“ ერთ–ერთი ლიდერი, დავით უსუფაშვილი. გადაცემაში არ იღებდა მონაწილეობას ხელისუფლების წარმომადგენელი. | 12.10.2022
- მოსამართლეთა კონფერენციის სადავო არჩევანი „იუსტიციის უმაღლესს საბჭოში ლევან მურუსიძისა და დიმიტრი გვრიტიშვილის კვლავ დაბრუნება, მესამე სექტორსა და პოლიტიკურ სპექტრში ისევ ვნებათაღელვის და პროტესტის მიზეზი გახდა. საბჭოს მოსამართლე წევრებად, მათი მეორედ არჩევა ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ე.წ. კლანური მმართველობის გამყარებად ფასდება. ხელისუფლება კი ოპონენტებს სასამართლოზე შეტევაში სდებს ბრალს... მოახდენს თუ არა ეს გადაწყვეტილება საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე გავლენას, იმ ფონზე როცა ქვეყანა ევროკავშირის სტატუსს ელოდება და მის მოსაპოვებლად, ევროკავშირის მიერ გაწერილი 12 რეკომენდაციიდან ერთი პუნქტი კი, სწორ- | 26.10.2022

ედ, სასამართლოს ეხება.“ სტუმრები: კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ თავმჯდომარე გურამ იმნაძე და იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრი ლევან მურუსიძე.

– ევროპარლამენტის რეზოლუციის კრიტიკული პროექტი სტუმრები: პარტია „ლელოს“ პოლიტიკური მდივანი სალომე სამადაშვილი და ვიცე–სპიკერი არჩილ თალაკვაძე. | 9.11.2022

– ივნისის შემდეგ რა გააკეთა ხელისუფლებამ რეკომენდაციების შესასრულებლად - 12–ივე რეკომენდაციაზე გაწეული სამუშაოს შეჯამება. სტუმარი მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, მამუკა მდინარაძე. | 21.12.2022

გადაცემაში **„კვირის მოამბე“** არ გასულა **არც ერთი** სიუჟეტი 12 რეკომენდაციის საკითხებზე. მხოლოდ ერთ გადაცემაში, ერთი სიუჟეტის მთავარი თემა იყო კანდიდატის სტატუსის მომლოდინე ქვეყნის როლი ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში. | არც ერთი

დასკვნა:

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმო კანდიდატის სტატუსის მიღების პერსპექტივას და ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების პროცესს. მაუწყებელს შედარებით ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ, ნეიტრალურად გაშუქების მცდელობები ჰქონდა. საეთერო დროს უთმობდა ყველა პოლიტიკური ძალის, მესამე სექტორისა და სხვა სფეროს წარმომადგენლებს, თუმცა, ხელისუფლების პოზიციის მი--მართ ტენდენციურობით და ლოიალური განწყობებით გამოირჩეოდა, რაც ძირითადად, მათი პოზიციისთვის მეტი საეთერო დროის დათმობით და ჟურნალისტების ტექსტებში გამოიხატებოდა, როგორც მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, ისე პოლიტიკურ თოქშოუებში. იყო შემთხვევები, როცა გადაცემებში მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტები, ძირითადად, ხელისუფლების კომენტარებით სრულდებოდა, გადაცემები კი, მმართველი გუნდის წევრების მონაწილეობით. არხზე დებატები ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის არ გამართულა.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდის ნაწილში - 20 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირებას ახორციელებდა და შესაბამისად, ამ პერიოდში პოლიტიკური თოქშოუები არ გადიოდა ეთერში, მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბეც“ სხვადასხვა დროს გადაიცემოდა.

ონლაინ მედია

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ევროკავშირის 12 რეკომენდაციის გაშუქების კუთხით, სხვა სააგენტოებისგან გამოირჩევა და ყველაზე მეტ და მრავალფეროვან ინფორმაციას, სწორედ, ეს სააგენტო ავრცელებს. კერძოდ, ზოგადად ევროკავშირის რეკომენდაციებზე, ევროპულ პერსპექტივაზე და კანდიდატის სტატუსის მიღების მნიშვნელობაზე, სამი თვის განმავლობაში **ასზე მეტი** ნიუსი გაავრცელა.

100-ზე მეტი ნიუსი

კონკრეტულად თითოეულ რეკომენდაციაზე კი:

1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრის პერიოდში სააგენტოზე **„დეოლიგარქიზაციის შესახებ“** კანონზე – დაახლოებით 250 ნიუსი გამოქვეყნდა. ძირითადად, ნიუსები შეეხება ოპოზიციის და ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარებს და პოზიციებს. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების კომენტარებს. ნიუსების წყაროდ, პოლიტიკოსების ჟურნალისტებთან გაკეთებული კომენტარების გარდა, გამოყენებულია პალიტრამედიის სხვადასხვა გადაცემის სტუმრების მოსაზრებები და კომენტარები. ძირითადი **ნარატივი ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების:** „ევროკავშირში ბრიყვი არავინაა, რომ ფასადური და კოსმეტიკური ცვლილებები სისტემურ ცვლილებებად ჩაგვითვალოს“, „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ "ქართული ოცნების" კანონპროექტი ფასადურია და ის ოპოზიციის დასჯის მექანიზმი იქნება... შეეხება ყველას ივანიშილის გარდა...“

250-ზე მეტი ნიუსი

ხელისუფლების ნარატივი: „ოპოზიციას არ სურს დეოლიგარქიზაციის კანონის მიღება, ზოგი ღიად ამბობს ამას, ზოგი ნიღბავს ყურით მოთრეული არგუმენტებით..“ “რადიკალურ ოპოზიციას პოლიტიკური ტრავმა აქვს და მხოლოდ პოლიტიკური შურისძიება ამოძრავებს, „დეოლიგარქიზაციის“ კანონი უნდოდათ ამისთვის გამოეყენებინათ, მაგრამ შემდეგ პოტენციური ოლიგარქები საკუთარ რიგებში აღმოაჩინეს“...

ევროკავშირის მე–12 რეკომენდაციაზე – სახალხო დამცველის არჩევის წესის ცვლილება და კანდიდატები – „ინტერპრესნიუსმა“ დაახლოებით 190 ნიუსი გამოაქვეყნა. ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორის, ექსპერტების, პოლიტოლოგების და ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარები. წყაროდ გამოყენებულია, როგორც პარლამენტში და სხვა ოფიციალურ შეხვედრებზე გაკეთებული კომენტარები, ასევე, „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ მისული სტუმრების ინტერვიუები, პალიტრა-მედიის სხვადასხვა გადაცემებში სტუმრების კომენტარები. ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების **ნარატივი** "პალიტრანიუსის" ეთერში გასული ინფორმაციების იდენტურია.

190 ნიუსი

მართლმსაჯულების რეფორმას, სასამართლოებს, გენერალური პროკურორის არჩევის წესს სააგენტომ დაახლოებით – **143 ნიუსი** მიუძღვნა;
ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის საკითხს – **57 ნიუსი;**
პოლარიზაცია – დეპოლარიზაციის საკითხს– 148 ნიუსი;
საარჩევნო რეფორმას – **68 ნიუსი;**
გენდერული თანასწორობისთვის და ქალთა წინააღმდეგ ძალადობა – 1 ნიუსი;
ზოგადად ევროკავშირის რეკომენდაციებზე, ევროპულ პერსპექტივაზე და კანდიდატის სტატუსის მიღების მნიშვნელობაზე – დაახლოებით, **110 ნიუსი.**

143 ნიუსი
57 ნიუსი
148 ნიუსი
68 ნიუსი
1 ნიუსი
110 ნიუსი

აღსანიშნავია, რომ სააგენტო „ინტერპრესნიუსზე“, 12–პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების გეგმაზე მუშობის შესახებ ანალიტიკური სტატიები, ფაქტობრივად, არ გამოქვეყნებულა. ვებგვერდზე ამ პერიოდში დაიდო მხოლოდ რამდენიმე ინტერვიუ სხვადასხვა ექსპერტთან თუ პოლიტოლოგთან, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად – საშინაო და საგარეო პოლიტიკის კონტექსტში განხილვასთან ერთად, მონიტორინგის საკითხსაც შეეხებოდა. ასევე, ორი ინტერვიუ გამოქვეყნდა სახალხო დამცველობის კანდიდატებთან:

ინტერვიუ კახა გოგოლაშვილთან – **„თუ საქართველომ უკრაინაში ომის დასრულებამდე ვერ მიიღო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, შემდეგ მსოფლიო სხვანაირად დალაგდება და ჩვენ ევროპული პერსპექტივა ბევრად გაგვირთულდება.“**

10.10.2022

ინტერვიუ ეკატერინე ციმაკურიძესთან – „12-დან არც ერთ რეკომენდაციაზე არ დასრულებულა მუშაობა, სამ რეკომენდაციაზე მუშაობა ჯერ არც დაწყებულა, რეკომენდაციების შესრულებაზე მთავარი პასუხისმგებელი ხელისუფლებაა.“	13.10.2022
ინტერვიუ ვახტანგ ძაბირაძესთან – „მურუსიძის იუსტიციის საბჭოში დაბრუნებით ხელისუფლებამ გვითხრა - ვაკეთებ რაც მინდა და როგორც მინდა, გადაწყვეტილების მიმღები ვარ და არავის აზრი არ მაინტერესებს, არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ.“	24.10.2022
ინტერვიუ სერგო მახარაძესთან – რა დღის წესრიგით აპირებს ომბუდსმენის აპარატში მუშაობას არჩევის შემთხვევაში სერგო მახარაძე - სახალხო დამცველობის კანდიდატის გეგმები.	31.10.2022
ინტერვიუ მარიკა არევაძესთან – სახალხო დამცველობის კანდიდატი მარიკა არევაძე - „უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, ისევე, როგორც გამოწვევების წინაშე დგას თავად ინსტიტუცია.“	4.11.2022
ინტერვიუ გია ხუხაშვილთან – „ვროკავშირში ბრიყვი არავინაა, რომ ფასადური და კოსმეტიკური ცვლილებები სისტემურ ცვლილებებად ჩაგვითვალოს.“	17.11.2022
ინტერვიუ ალექსანდრე თვალჭრელიძესთან – „შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ევროპამ უმწვავეს შიდა დაპირისპირებაზე დახუჭოს თვალი.“	19.11.2022
ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან – „ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მოცემა მსოფლიოს ახალ პოლიტიკურ სქემებზეა დამოკიდებული და არა ჩვენი ოპოზიციის მიერ ევროპისთვის შეშველებულ 12 პუნქტზე.“	22.11.2022
ინტერვიუ დავით სიხარულიძესთან – „ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელიმე ქვეყანა ძალით ან ნატო–ში, ან ევროკავშირში მიეღოთ... ევროპული რეკომენდაციების 12 პუნქტში, რომელშიც უნდა მიგვეღწია პროგრესისთვის, არათუ არ სრულდება, არამედ საპირისპირო ნაბიჯები იდგმება...“	1.12.2022

ინტერვიუ კახა გოგოლაშვილთან – „ევროპარლამენტი საქართველოს ევრო-კავშირში ინტეგრაციის შესაძლებლობას ზრდის, ახლა ჯერი ჩვენზეა.“ | 3.12.2022

ინტერვიუ ლადო პაპავასთან – „ლადო პაპავა - არ ვარ „შეთქმულების თეორიის“ მომხრე, მაგრამ სერიოზული არგუმენტები, თუ რატომ არ მიანიჭა ბრიუსელმა საქართველოს ევროკავშირის კანდიდატობის სტატუ--სი, უბრალოდ არ არსებობს.“ | 22.12.2022

ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეს“ სტუმარის, ევრო-პარლამენტარ მარკეტა გრეგორევასთან ინტერვიუ. – „მე იმედი მაქვს, რომ საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს! ვფიქრობ, რომ დიახ, ეს მოხ-დება თქვენთვის!“ | 28.12.2022

დასკვნა:

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზმა interpressnews.ge-ზე დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოავლინა ევროკავშირის 12 რეკომ-ენ-დაციის გაშუქებისას. გამოცემა საკითხს აშუქებდა მიუკერძოებლად და უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურად.

მიუხედავად იმისა, რომ ვებგვერდი სამი თვის განმავლობაში ყველაზე აქტიურად აშუქებდა ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულების სა-კითხებს და აქტივობებს, ახალი ამბების ფორმატში მომზადებული ინფორმაციების უმრავლესობა ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომად-გენელთა ზედაპირული განცხადებები და კომენტარები იყო. სხვადასხვა დაპირისპირებული მხარის კომენტარები შუქდებოდა ცალ-ცალკე, რომ-ლებიც ტექნიკურად არ ებმოდა ერთმანეთს და, შესაბამისად, მკითხველს ხშირად არ ჰქონდა შესაძლებლობა, განსხვავებულ მოსაზრებებსა და დაბალანსებულ ცნობებს გაცნობოდა ცალკეულ სტატიებსა თუ ნიუსებში. ვებგვერდზე საკითხზე ანალიტიკური სტატიები, ფაქტობრივად, არ გამოქვეყნებულა, მხოლოდ რამდენიმე ინტერვიუ, ცალკეულ ექსპერტებ-თან და პოლიტოლოგებთან.

საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ – PIA.GE

PIA.GE

170-მდე ნიუსი

ახალი ამბების სააგენტო **pia.ge**–მ, 1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით, ზოგადად, ევროკავშირის 12 რეკომენდაციას და გეგმაზე მუშობის პროცესზე **170–მდე ნიუსი** გამოაქვეყნა. გამოცემა უმეტეს შემთხვევაში, საკითხს აშუქებდა ხელისუფლების პოზიციის სასარგებლოდ.

კონკრეტული რეკომენდაციების გარდა, სააგენტოზე გამოქვეყნებული რამდენიმე ნიუსი ეხებოდა **ზოგადად, 12 რეკომენდაციის** მნიშვნელობას ქვეყნისთვის და მისი შესრულების აუცილებლობას, ასევე კანდიდატის სტატუსის მიღებას. თუმცა, უმრავლესობა მათგანში, ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლების და ხელისუფლების ინტერესების დამცველი ექსპერტების კომენტარები ჭარბობდა,

> **ნარატივით** – მხოლოდ ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს რეკომენდაციების შეასრულებლად, ოპოზიცია კი არ ერთვება სამუშო ჯგუფებში, არ იღებს პასუხისმგებლობას და აზიანებენ პროცესს. „ოპოზიციისთვის მნიშვნელოვანია არა 12 პუნქტის შესრულება, არამედ, მათი ამოცანაა, რომ ამას რამენაირად ხელი შეუშალონ, კანდიდატის სტატუსის არმინიჭებაში ხედავენ გამოსავალს...“

წარმოგიდგენთ რამდენიმე ახალ ამბავს სადემონსტრაციოდ:

„მაშინ, როცა ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს კანდიდატის სტატუსის ირგვლივ შექმნილ სამუშაო ჯგუფებს, „ქართული ოცნების“ მთელი სამთავრობო და საპარლამენტო გუნდი ყველაფერს აკეთებს კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად...“

„რადიკალურ ოპოზიციას „ნაცმოძრაობის“ მეთაურობით აქვს კონკრეტული ვიწროპარტიული ინტერესი, რომ ხელი შეუშალონ ქვეყანას 12 პუნქტის შესრულებაში, გაეთიშონ პროცესს და ყველანაირად ეცადონ დესტრუქციული საშუალებებით, რაც შეიძლება მეტად შეულახონ რეპუტაცია ამ მუშაობას. ხელისუფლებას წარმოდგენილი აქვს კონკრეტული გეგმა თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით და გარდა იმისა, რაც უკვე შესრულებულია, მომავალშიც ეს ტენდენცია და პროცესი უწყვეტად გაგრძელდება...“

„ევროკავშირის მხრიდან 12 პუნქტი იყო შემოთავაზებული და ჩვენ ამ წლის ბოლომდე გეგმა გვქონდა გაწერილი, რასაც პირნათლად გავყევით. სადაც ცალმხრივი პასუხისმგებლობით შეგვეძლო ნაბიჯების გადადგმა, ყველგან ვიმოქმედეთ 100 %-ით პირნათლად... სადაც საჭირო იყო ოპოზიციის კონსტრუქციული მიდგომა, სამწუხაროდ ვერ ვიხილეთ“.

„ისინი კანდიდატის სტატუსის არმინიჭებაში ხედავენ პოლიტიკურ შანსს, არიონ ქვეყანა, ჩართონ ქვეყანა კიდევ ერთხელ ომში, რასაც ჩვენ ვერ დავუშვებთ“.

ვებგვერდზე განსაკუთრებით თვალშისაცემია ევროკავშირის, ევროპარლამენტარების, საქართველოში ამერიკის ელჩის, კელი დეგნანის კრიტიკა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე ხელისუფლებასთან აფილირებული ექსპერტების მხრიდან: მაგალითად,

„უკვე ყველა მოქალაქემ იცის, რომ კანდიდატის სტატუსი პოლიტიკური ვაჭრობის საგანია, თორემ მოლდოვასთან შედარებით ჩვენ ყველა პარამეტრით წინ რომ ვართ, ევროპული ინსტიტუტებივე ადასტურებენ“ ... **გურამ მაჭარაშვილი.** | 11.11.2022

“თურმე ჩვენ უნდა ჩავღუნოთ თავი, კუთხეში დავდგეთ, შეცდომები ვაღიაროთ, ბოდიში მოვიხადოთ, ფეხებთან მივუხოხდეთ, ტუფლები ავულოკოთ, და ასე მივიღოთ ის საკრალური კანდიდატის სტატუსი“ ... **ზაალ ანჯაფარიძე.** | 9.11.2022

„გროვდება იმის ნიშნები, რომ ევროკავშირი არ აპირებს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, ვიდრე აქ მისთვის სასურველ ხელისუფლებას არ ნახავს“ – **ზაალ ანჯაფარიძე.** | 11.11.2022

„ევროპარლამენტარების განცხადებები მნიშვნელოვანწილად მიკერძოებულია – კორუფციის სკანდალის შემდეგ, საკმაოდ შეილახა ევროპარლამენტის ავტორიტეტი“ – **გია ვოლსკი.** | 13.12.2022

„სად არის გარანტია, რომ უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი ევროპარლამენტარებიც, გარკვეული ანაზღაურების საფასურად, ცოტა-ცოტას არ სცოდავდნენ და შესაბამისად, ჩვენს მიმართ უფრო დიდ ცოდვას არ სჩადიოდნენ თავიანთი მიკერძოებული რეზოლუციებით?“ – **ლევან ნიკოლაიშვილი.** | 10.12.2022

„ასპარეზზე ისევ აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი გამოდის, საიდან იცის, რომ უკრაინამ დეოლიგარქიზაციის კანონი უკან გაიწვია?“ - **ლევან ნიკოლაიშვილი.** | 22.11.2022

რაც შეეხება სხვა პოლიტიკური პარტიის ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების, ექსპერტების განცხადებებს, სააგენტო pia.ge ძალიან მცირე რაოდენობით აშუქებდა. მაგალითად, “ჩვენ ვსაუბრობთ ევროკომისარზე, რომელიც არის ორბანის პარტიის მიერ წარდგენილი, ორბანი არის ერთადერთი, რომელსაც როგორც ჩანს ნორმალური განწყობა აქვს ბიძინა ივანიშვილის მიმართ - სალომე სამადაშვილი ოლივერ ვარჰეიზე.“ | 15.11.2022

სააგენტო pia.ge-მ ევროკავშირის მე–5 რეკომენდაციას – **„დეოლიქარგიზაციას“,** საკვლევი პერიოდის განმავლობაში, 81 ნიუსი მიუძღვნა. | 81 ნიუსი

სტატიების უდიდესი ნაწილი, ხელისუფლების წარმომადგენლების და ხელისუფლების პოზიციის დამცველი ექსპერტების მიერ ტელეკომპანია „იმედზე“ და „POST.TV”–ზე გაკეთებული განცხადებები, ან სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული სტატუსებია. იშვიათად, სახელმწიფო უწყებებში ოფიციალურ ბრიფინგებზე ან, ღონისძებებზე გაკეთებული კომენტარები.

> **ნარატივი:** „სინამდვილეში დეოლიგარქიზაცია საქართველოში არ აწყობს მხოლოდ რადიკალურ ოპოზიციას, მათ არ აწყობთ კეზერაშვილს დაერქვას თავისი სახელი და რაღაცეები შეეზღუდოს“ – **ირაკლი კობახიძე.** ვერ დამალეს, რომ რადიკალური ოპოზიცია საქართველოში არის დეოლიგარქიზაციის წინააღმდეგი და ხელისუფლება დეოლიგარქიზაციის მომხრე...“ | 17.11.2022

„ევროპარლამენტარებისგან და ცალკეული ოპოზიციონერების მხრიდან იყო მცდელობა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი პირდაპირ შეხებოდა ბიძინა ივანიშვილს“ – **ეკა სეფაშვილი.** | 17.11.2022

ვებგვერდზე ხშირად არის მონიტორინგის საკითხებზე ხელისუფლებასთან აფილირებული ექსპერტების: ნინო ფოჩხუას, ზაალ ანჯაფარიძის, გია აბაშიძის, თამთა მეგრელიშვილის, ლევან ნიკოლაიშვილის, ედიშერ გვენეტაძის, „ხალხის ძალის“ წევრების – დავით ქართველიშვილის და ზურაბ

ქადაგიძის კომენტარებზე, განცხადებებზე და სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებულ პოსტებზე მომზადებული ნიუსები. მაგალითად, „დეოლიგარქიზაციაზე“ მათი მთავარი

> **ნარატივი**: „რადიკალურ ოპოზიციას თავისი ენჯოებით და მედიასაშუალებით არ უნდა „დეოლიქარგიზაციის“ შესახებ კანონის მიღება. მიზეზი არის ერთადერთი - ოლიგარქები არიან მხოლოდ მათ მხარეს. ისინი იცავენ კეზერაშვილს.“

„ევროპის მიერ მოწონებულ კანონპროექტს სააკაშვილის ომის პარტია იწუნებს, რადგან გვიან გაიცნობიერა, რომ დეოლიგარქიზაცია მათ პოლიტიკურ სპონსორებს ეხებათ“ – **გია აბაშიძე**. | 3.11.2022

„ჯერ კიდევ როდის ევროპარლამენტმა მოიწონა უკრაინის მიერ მიღებულ დეოლიგარქიზაციის კანონი. ჩვენს დესტრუქციულებს ვერანაირი პრეტენზია ვერ ექნებათ ამ კანონის საქართველოში მიღებაზე“ – **ნინო ფოჩხუა.** | 3.11.2022

„ოლიგარქი უნივერსალური ცნებაა და ამის კლასიკური მაგალითი გყავთ კეზერაშვილი! აი, რატომაა ატეხილი აჟიოტაჟი რადიკალებში“ – **ზურაბ ქადაგიძე.** | 4.11.2022

> **ნარატივი:** „ოპოზიციის დამფინანსებელი ბიზნესმენი ვერ ჩაითვლება ოლიგარქად, ამ „ნარატივის გაპრავება“ არ გამოგივათ პატრადიკალებო! ასე რომ მოდუნდით და დაელოდეთ დეოლიგარქიზაციის პროცესებს, ძალიან მტკივნეული აღმოჩნდება თქვენთვის, თუმცა რას ვიზამთ?“

გარდა ხელისუფლებისა და მათთან აფილირებული ექსპერტების განცხადებებისა, სააგენტო ნაკლებად, მაგრამ აშუქებდა პოლიტიკური პარტია „გირჩის“ და პარტია „მოქალაქეების“ წევრების განცხადებებსაც. უფრო ნაკლებად ყოფილი პრემიერ–მინისტრის, გიორგი გახარიას პარტიის „საქართველოსთვის“ წევრების განცხადებებს.

კერძოდ, „ბუმერანგია, რომელიც ოპოზიციის ნაწილმა მიამიტობით ივანიშვილს დაუმიზნა, „ქართულმა ოცნებამ“ აიცილა და ახლა ხვდება ხა-

ზარაძეს, ჭუტა წერეთელს“ - **ალეკო ელისაშვილი** დეოლიგარქიზაციის კანონზე. | 21.11.2022

„ოპოზიციური კოლეგების ერთი ნაწილის მიერ ევროკომისრის ოლივერ ვარჰეის ხელაღებით კრიტიკა მიუღებელია“ – **ალეკო ელისაშვილი.** | 16.11.2022

„ივანიშვილი საჯარო პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს“ - **ვახტანგ მეგრელ-იშვილი.** | 3.10.2022

„თუ გაქვს დეკლარირებული მიზანი, გახდე ევროკავშირის წევრი, ევრო-კავშირი არ უნდა აკრიტიკო“ - **ლევან იოსელიანი.** | 19.10.2022

რაც შეეხება სხვა პოლიტიკური პარტიის ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების, ექსპერტების განცხადებებს, სააგენტო pia.ge ძალიან მცირე რაოდენობით აქვეყნებდა.

12 რეკომენდაციის მე–3 პუნქტზე – **მართლმსაჯულების რეფორმა** საინ-ფორმაციო სააგენტო pia.ge–მ 24 ნიუსი მოამზადა. | 24 ნიუსი

> **ნარატივი:** „ყველამ კარგად იცის, რომ სასამართლო ევროინტეგრაციას არათუ ხელს უშლის, მას 50 %-ზე მეტი რეიტინგი აქვს საქართველოში ნდობის თვალსაზრისით, რაც წარმოუდგენლად მაღალი შედეგია“ ... **(მამუკა მდინარაძე)** | 28.12.2022

„ტრაგიკულია გენერალური პროკურორის არჩევის წესი, რომელიც დემოკ-რატიულ ქვეყნებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის სრულ უგულებელ--ყოფას ახდენს. მსგავსი აბსურდული და ბუნდოვანი რეკომენდაციები აძ-ლიერებს ეჭვს, რომ კანდიდატის სტატუსის არ მონიჭების დროს, ევროკომისიამ არა ინსტიტუციური, ობიექტური, არამედ პოლიტიკური და სუბიექტური გადაწყვეტილება მიიღო“ – **დავით ჩიხელიძე,** დემოკრატი-ული ცვლილებების ცენტრის ხელმძღვანელი). | 21.10.2022

„ბექა დავითულიანი გენერალური პროკურორის არჩევის წესზე: საიდან და რატომ გაჩნდა 19 აპრილის შეთანხმებაში, რჩება ცოტა გაურკვეველი, ოპო-ზიციას და ხელისუფლებას ეს შეთავაზება არ ჰქონია“ –

ნარატივი: „რადგან რეკომენდაციებში წერია, გვიწევს მივიღოთ კანონი, რომელიც პრაქტიკულად არავის მოგვწონს და არ მიგვაჩნია სწორად. ერთი მხარე და მეორე მხარე, როცა ამბობს რომ ცუდია ქართული მართლმსაჯულებისთვის“. | 20.10.2022

ევროპული რეკომენდაციების კიდევ ერთ რეკომენდაციას – **სახალხო დამცველის არჩევის საკითხს –** სააგენტომ 20–მდე ნიუსი დაუთმო. ძირითადად ხელისუფლების და ექსპერტების კომენტარები/განცხადებები. | 20-მდე ნიუსი

ნარატივი: „ოპოზიციას მივეცით ომბუდსმენობის კანდიდატების დასახელების საშუალება და ბოლოს დავიდნენ სადამდე, რომ კლანური პრინციპით შერჩეული სამი კანდიდატის გარდა არავის მხარს არ უჭერენ“ – **ირაკლი კობახიძე.** | 21.12.2022

„რამდენიმე პარტიის მიზანია, არ აგვარჩევინონ სახალხო დამცველი, ასეთ შემთხვევაში, მათ სახალხო დამცველის ოფისში დარჩებათ საკუთარი ფავორიტები...“ კლანური პრინციპით შეარჩიეს სამი კანდიდატი მდიდარმა ენჯეობმა და იმ სამიდან ერთ-ერთმა გასაუბრებაზე მოსვლაც კი ვერ გაბედა იმდენად არაკომპეტენტურია“... „სახალხო დამცველის ასარჩევად მმართველ გუნდზე რაც იყო დამოკიდებული, ყველა რეკომენდაცია პრაქტიკულად, შესრულებულია, კონსენსუსთან დაკავშირებით, არცერთი გადაწყვეტილება არ არის მიღებული... ოპოზიცია აგდებს რეკომენდაციას“...

რაც შეეხება, რეკომენდაციების რიგით მე–2 პუნქტს – **საარჩევნო რეფორმას,** სააგენტომ მასთან დაკავშირებული 8 ნიუსი მოამზადა. აქედან, რამდენიმე, | 8 ნიუსი ოფიციალური უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციაა. მაგალითად, „საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფმა ვენეციის კომისიისა და ეუთო/ODIHR ერთობლივი წინასწარი დასკვნა განიხილა და რეკომენდაციებიდან გამომდინარე კონკრეტულ საკითხებზე იმსჯელა.“ ასევე, გაშუქდა ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები ზოგადად საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე, ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურის სარგებლობაზე და ეუთო/ოდირის კრიტიკაზე. კერძოდ, „გვინდოდა საარჩევნო კოდექსი 15-16 დეკემბრამდე მიგვეღო, ვიდრე ევროპული საბჭოს სხდომა შედგებოდა, ვენეციის კომისია 13 დეკემბრამდე პასუხს არ

გვიბრუნებს. როდესაც დაჩქარებული წესით ხდება მოთხოვნა, ვიცით, რომ ხშირად ერთ კვირაშიც კი დაუბრუნებიათ დასკვნა, ამ შემთხვევაში რატომ სჭირდებათ ორი თვე, არ ვიცი.“ – **ირაკლი კობახიძე.**	18.10.2022
ევროკავშირის რეკომენდაციების პირველ პუნქტს – **პოლარიზაციის** საკითხზე, სააგენტომ 9 ახალი ამბავი გაავრცელა. ძირითად, ხელისუფლების წარმომადგენლების ან მათთან აფილირებული ექსპერტების განცხადებები. მაგალითად, „დეპოლარიზაციის მთავარი გასაღები მდგომარეობს იმაში, რომ „ნაცმოძრაობამ“ უნდა გააგრძელოს დასუსტება. ჩვენ ამ პროცესს ხელს შევუწყობთ და ამან უნდა მიგვიყვანოს საბოლოო დეპოლარიზაციამდე“ – **ირაკლი კობახიძე.**	9 ნიუსი 19.11.2022
ევროკავშირის მე–4 რეკომენდაციაზე – **ანტიკორუფციული ბიუროს** შექმნის შესახებ, სააგენტო pia.ge 7 ნიუსს ავრცელებს.	7 ნიუსი
ძირითადად, საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს, მაგალითად, „პარლამენტმა ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების საკითხზე მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მეორე მოსმენით განიხილა“ –ასევე, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს და პარტია „მოქალაქეების“ და „საქართველოსთვის“ წევრების განცხადებებს. მაგალითად, „ოცნებისეულ ხუმრობასთან გვაქვს საქმე“ - **კახა ქემოკლიძე** ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის გადაწყვეტილებაზე.	15.11.2022 26.10.2022
ხოლო, ევროკომისიის მე-11 რეკომენდაციაზე – **სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების ასახვას ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში** სააგენტო 2 ნიუსს ავრცელებს. ერთი ნიუსი – პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილების პროექტი მესამე მოსმენით მიიღო“ და მეორე, ოპოზიციონერი დეპუტატის განცხადება, რომელიც ხსნიდა, თუ რატომ ვერ დაუჭირა მხარი ცვლილებებს – „მე-11 რეკომენდაციას მხარი დავუჭირე პირველი და მეორე მოსმენით, მესამე მოსმენისას დარბაზში არ ვიყავი, ჩვენი პოლიტიკური ჯგუფი ამ ცვლილებებს მხარს უჭერდა“ – **ხათუნა სამნიძე.**	2 ნიუსი 20.10.2022

დასკვნა:

ახალი ამბების სააგენტო pia.ge–მ, ზოგადად, ევროკავშირის 12 რეკომენდაციაზე და გეგმაზე მუშობის პროცესზე 170–ზე მეტი ნიუსი გამოაქვეყნა. გამოცემა უმეტეს შემთხვევაში, საკითხს აშუქებდა მიკერძოებულად. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ინფორმაცია ხელისუფლების პოზიციის სასარგებლო უფრო იყო და მმართველი გუნდისა და ხელისუფლების მიმართ სიმპათიას გამოხატავდა. უარყოფითი და კრიტიკული განწყობა შეინიშნებოდა ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორის, ევროპარლამენტარების და ელჩების მიმართ.

170-ზე მეტი ნიუსი

სააგენტო ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ნიუსების უმრავლესობა, ძირითადად, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ხელისუფლების ინტერესების დამცველი ექსპერტების განცხადებები, კომენტარები და სოციალურ ქსელებში გაკეთებული სტატუსები იყო. ვებგვერდზე მკითხველს არ ჰქონდა შესაძლებლობა, განსხვავებულ მოსაზრებებსა და დაბალანსებულ ცნობებს გაცნობოდა ცალკეულ სტატიებსა თუ ნიუსებში. სააგენტოზე საკითხზე ანალიტიკური სტატიები, ფაქტობრივად, არ გამოქვეყნებულა.

საინფორმაციო სააგენტო „ტაბულა“

საინფორმაციო სააგენტო tabula.ge-მ, 1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრამდე პერიოდში, მონიტორინგისთვის არჩეულ საინფორმაციო სააგენტოებს შორის, ყველაზე ცოტა დრო დაუთმო საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, კანდიდატის სტატუსის მისაღებად შესასრულებელ 12 რეკომენდაციის თემის გაშუქებას. ევროკავშირის 12 რეკომენდაციის საკითხები და მუშაობის პროცესი დაახლოებით 90 ნიუსით გააშუქა.

90 ნიუსი

სააგენტომ ყველაზე მეტი ნიუსი **„დეოლიგარქიზაციის“ „კანონზე** გაავრცელა – 28 ნიუსი. „ტაბულა“ ამ საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალური ნიუსების გარდა, მაგალითად, „პარლამენტმა დეოლიგარიზაციის შესახებ კანონი პირველი მოსმენით მიიღო“, უფრო ხშირად აშუქებდა ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარებს და განცხადებებს, თუმცა, შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა ხელისუფლების მიმართ, რაც ძირითადად, სათაურებით გამოიხატებოდა. მაგალითად,

28 ნიუსი

„კობახიძე: აშშ-ევროპის კონკრეტულ ქვეყნებში რომ არის ოლიგარქების გავლენა, ასეთი სად არის?“

17.11.2022

„ცაგარეიშვილი: ივანიშვილი ოლიგარქი მას შემდეგ გახდა, რაც 2012 წელს ამ ავაზაკებს კუდით ქვა ასროლინა?“	11.10.2022
„ოხანაშვილი: ივანიშვილზე დეოლიგარქიზაციის კანონპროექტი ფიზიკურად ვერ გავრცელდება“	3.10.2022
„წულუკიანი ოპოზიციაზე: გაუთვლელობისთვის სამართლებრივად უნდა აგონ პასუხი დეოლიგარქიზაციით“	7.10.2022
„ზარქუა დეოლიგარქიზაციის კანონზე: კატამ თხარა, თხარაო - ასე მოუვიდა ოპოზიციას“	3.11.2022
„ვოლსკი: დეოლიგარქიზაციაზე ჩვენი მიდგომა იმდენად სამართლიანია, ოპოზიციას უხერხულობა შეუქმნა“	3.11.2022

ასევე, აშუქებდა საქართველოში ამერიკის ელჩის, კელი დეგნანის და ევროპარლამენტარების განცხადებებს ივანიშვილსა და დეოლიგარქიაზე ხელისუფლების საწინააღმდეგო პოზიციის მხარდაჭერით. მაგალითად,

„დეგნანი დეოლიგარქიზაციაზე: რაიმეს აღება საქართველოზე მორგების გარეშე კარგად არ იმუშავებს“	5.10.2022
„დეგნანი: უკრაინამ დეოლიგარქიზაციის კანონი ვენეციის კომისიიდან გაიწვია“	22.11.2022
„იუკნევიჩიენე: ყველას ესმის, რომ დეოლიგარქიზაცია პირველ რიგში დებიძინიზაციას გულისხმობს“	11.10.2022
„გრეგოროვა დეოლიგარქიზაციაზე: თუ ივანიშვილზე არ იმოქმედებს, სათანადოდ შესრულებული არაა“	4.11.2022
„EU: დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებამდე მოითხოვეთ და შეასრულეთ ვენეციის კომისიის დასკვნა“	21.11. 2022

აღსანიშნავია, რომ „ტაბულამ“ სხვა სააგენტოებისგან განსხვავებით, ერთი ანალიტიკური სტატია მიუძღვნა დეოლიგარქიზაციის საკითხს, სათაურით – „დეოლიგარქიზაციის კანონი იმ ერთადერთის გარეშე.“ სტატიაში განხილულია: რას გულისხმობს დეოლიგარქიზაციის ქართული კანონი? რა ეკრძალებათ ოლიგარქების რეესტრში შეყვანილ პირს და რას გულისხმობს უკრაინული ანალოგი. ასევე, რა ქონებას უნდა ფლობდე, რომ ოლიგარქი | 16.12.202

იყო და ვინ არის ოლიგარქი ქართველი პოლიტიკოსების აზრით? რას ამბობენ პარტნიორები? თუმცა, სტატიას ერთვის ისეთი ფოტოსურათი – (ფოტომანიპულაცია), რომელზეც ბიძინა ივანიშვილი წარმოჩენილია დამაკნინებელი, დამცინავი ფორმით.

ევროკავშირის მე–12 რეკომენდაციაზე – **სახალხო დამცველის არჩევის** საკითხზე „ტაბულამ“ **20 ნიუსი** გამოაქვეყნა. ნიუსების დიდი ნაწილი, პარლამენტში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე სახალხო დამცველობის კანდიდატების მიერ გაკეთებული განცხადებები იყო. თუმცა, სააzგენტოს, ძირითადად, სათაურებად შერჩეული ჰქონდა, იმ კანდიდატების გამოსვლები და ციტატები, რომლებიც მკითხველში ცინიკურ განწყობას ქმნიდა. მაგალითად, ნიუსების სათაურები: | 20 ნიუსი

- „ომბუდსმენობის კანდიდატი რელიგიურ უმცირესობებზე: პრიორიტეტს ქრისტიანობას მივანიჭებ“;
- „ომბუდსმენობის კანდიდატი: დავიცავ ნებისმიერი მოქალაქის უფლებას, ოღონდ, პრაიდს არ ვემხრობი“;
- „ომბუდსმენობის კანდიდატი: ტრენერი ვარ, [რუსეთში ჩაბარება] მეგობარმა ქოუჩმა მირჩია“;
- „ომბუდსმენობის კანდიდატი: მთელი ეს წლები ეკლესიაში ვიყავი და კანონში არც ჩამიხედავს“;
- „ომბუდსმენობის კანდიდატი: ჩემი სხეულის მესაკუთრე არის უფალი ღმერთი“;
- „ხვიჩია: შინაგანი რწმენა მაქვს, რომ კორონავირუსი უფრო ლაბორატორიულია, ვიდრე ბუნებრივი“;
- „ხვიჩია: არ ვიბრძოლებ უფლების რეალიზებისთვის, რომ ვიღაცამ სადმე სექსუალურ პრაიდზე გაიაროს“;
- „ომბუდსმენობის კანდიდატი: ომბუდსმენის დაცვა დასჭირდება არა მარტო ივანიშვილს, ტრამპსაც“...

სახალხო დამცველის კანდიდატების არჩევის საკითხზე, „ტაბულას“ ჰქონდა გაშუქებული ხელისუფლების წარმომადგნელების მიერ გაკეთებული განცხადებებიც. მაგალითად, „პაპუაშვილი ომბუდსმენის არჩევაზე: ოცნების კალაპოტში მოქცევის მცდელობა არადემოკრატიულია.“ | 12.12.2022

„მდინარაძე: ოპოზიცია შერჩეულ 5 კანდიდატზე უარს ამბობს, ამიტომ, ხვალ ვერ ავირჩევთ ომბუდსმენს“ სააგენტოს არ გაუშუქებია საკითხზე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების განცხადებები. | 21.12.2022

სააგენტომ **მართლმსაჯულების რეფორმის** საკითხზე – 10 ნიუსი გაავრცელა. ძირითადად, ოპოზიციის წარმომადგენლების კომენტარები, **ნარატივით**: „თუ სასამართლოში დარჩება „კლანი“, რეკომენდაცია არ ჩაითვლება შესრულებულად.“ გაშუქების ტონი ნეგატიური. მაგალითად,	10 ნიუსი
„მელია: მურუსიძისა და გვრიტიშვილის არჩევით, ხელისუფლება დასავლეთს უცხადებს ღია ბრძოლას.“	24.10.2022
„ლელო მურუსიძე-გვრიტიშვილზე: მიზანმიმართულად ანადგურებს EU-ს კანდიდატობის მოპოვების შანსს“	24.10.2022
„ტაბულამ“ ევროკავშირის პირველ რეკომენდაციაზე – **პოლარიზაციაზე** 6 ნიუსი გაავრცელა, ძირითადად, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები –	6 ნიუსი
„კობახიძე: სინამდვილეში პოლარიზაცია პრობლემა არ არის, დემოკრატიის ნაწილია.“	3.11.2022
საარჩევნო რეფორმაზე – **1,** ხოლო **ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის**	1 ნიუსი
საკითხზე – **2 ნიუსი** გაავრცელა.	2 ნიუსი

„ტაბულამ“ კონკრეტული 12 რეკომენდაციის საკითხების გარდა, გამოქვეყნებული ნიუსების დიდი ნაწილი დაუთმო ზოგადად, ევროინტეგრაციის, კანდიდატის სტატუსის მიღების მნიშვნელობას (აშუქებდა ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგნელების კომენტარებს). ასევე, ევროპარლამენტარების, საქართველოში ევროკავშირის ელჩის, აშშ–ის ელჩის განცხადებებს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით და ხელისუფლების წარმომადგენლების საპასუხო კრიტიკას ევრპარლამენტარებისა და ელჩების მიმართ. აშუქებდა საქართველოს მიმართ ევროპარლამენტის მიერ მიღებულ კრიტიკულ რეზოლუციებს.

წარმოგიდგენთ რამდენიმე ახალ ამბავს სადემონსტრაციოდ:

„ბოკერია ვარჰეიზე: საქართველოსთვის არაფერი იცვლება უკეთესობისკენ იმით, რომ არ გაგვაკრიტიკა“	16.12.2022
„ივანიშვილის სანქცირება, სააკაშვილისა და გვარამიას გათავისუფლება – ევროპარლამენტის რეზოლუცია“	14.12.2022

„ღარიბაშვილი: ოპოზიცია არაა ჩართული 12 პუნქტის შესრულებაში, დეპოლარიზაცია მათი ვალდებულებაა“	15.11.2022
„ვაშაძე, ხოშტარია და ჯაფარიძე ოცნებას ევროკავშირის რეკომენდაციებზე 31 კითხვით მიმართავენ“	31.10.2022
„ვარჰეი: ვხედავ, საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს, რომ 12-ვე პუნქტი შესრულდეს“	15.11.2022
„ღარიბაშვილი: ჩვენ ზედმიწევნით სწორად, ეფექტიანად შევასრულეთ EU-ს 12 პრიორიტეტი“	26.12.2022
„წულუკიანის ვარაუდით, ევროპარლამენტის დოკუმენტი "ნიადაგია" კანდიდატობაზე უარის სათქმელად“	9.11.2022
„ჰერჩინსკი 12 პუნქტზე: მთავრობა ღია უნდა იყოს, ოპოზიციამ მასთან კონსტრუქციულად უნდა იმუშაოს“	15. 11.2022

დასკვნა:

1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრის პერიოდში, „ტაბულამ“ დაახლოებით 90 ნიუსი გამოაქვეყნა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებისა და 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესის შესახებ.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ tabula.ge-ზე შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიმართ. განსაკუთრებით, ნეგატიურ კონტექსტში იყო ნახსენები (სათაურებში, ფოტომანიპულაციით) ყოფილი პრემიერ–მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ გამოცემას 3 თვის განმავლობაში ხშირად არ გამოუქვეყნებია ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები, გამოქვეყნებული ნიუსების სათაურები, ძირითადად, იყო ნეგატიურ კონტექსტში. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოცემა არც ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებს აქვეყნებდა ინტენსიურად და, შეიძლება ითქვას, ბალანსი ამ მხრივ დაცული იყო. ნიუსების უმრავლესობის წყარო სატელევიზიო გადაცემები იყო და მხოლოდ ციტატები იყო მოყვანილი. 12 რეკომენდაციის შესრულების გეგმაზე მუშაობის პროცესი tabula.ge-ს ყურადღების ცენტრში ნაკლებად ექცეოდა.

„ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და
ანტიკორუფციული საქმიანობის სამოქალაქო მონიტორინგი -
ევროკავშირის 12 რეკომენდაციის ფარგლებში",
მედია გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში
მომზადებულია დემოკრატიის ვირტუალური აკადემიის მიერ,
სამოქალაქო იდეასთან თანამშრომლობით.

ნაშრომის ავტორი: **მარიკა გორდელაძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **სალომე სვანიძე**